




2009 წელი, 17-23 სექტემბერი

ფასი 90 თეთრი

ახალი ბუნათმეტყველება

№26 (460) ბაზოლის 1998 წლიდან



პირველი გაკვეთილი



C M Y K



გამომცემლობა პეგი ვთავაზობთ

**ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების
გათვალისწინებით შექმნილ,
განახლებულ და 2 ბლოკად დაყოფილ
საინფორმაციო რესურსს**





1. ქართული და ქართულად ნათარგმნი ლიტერატურა 24 წიგნი – 280 ლარი.
2. უცხოენოვანი ლიტერატურა 12 წიგნი – 110 ლარი.

შესაძლებელია ორივე პაკეტის ერთად, ან ცალ-ცალკე შეძენა!

დაეკავშირდით და შეგიკავშირეთ
899 132 700
899 983 184
983 003 (ხალაშის ხაათებში)
peg_ebook@yahoo.com

ქართული და ნათარგმნი ლიტერატურა – 280 ლარი.

- ქართული მწერლობა**
- 1-3. ქართული პავლიანოვი - 7 ბლოკად - კოსტავას გრაფიკული ფორმალა
 4. დავით გურამიშვილი - დავითიანი - კოსტავას ვაი მურღულია
 5. ქართული ფილმების - სიმბოლოები დაქვეითებული ზღაპრები
 6. ქართული პოეტის ანთოლოგია - უნიკალური საავტორო ჩანაწერები
 7. ხალხის პოეზიის ანთოლოგია - დაქვეითებული პოეტების
 8. ალია ჭავჭავაძე - დაქვეითებული პოეტების მოთხრობები პუბლიცისტიკა
 9. აკაკი წერეთელი - დაქვეითებული პოეტების მოთხრობები უნიკალური საავტორო ჩანაწერები
 10. ვალერიან გუმბაზი - დაქვეითებული უნიკალური საავტორო ჩანაწერები
 11. ვაჟა-ფშაველას - დაქვეითებული პოეტების მოთხრობები
 12. დიდი ასათიანი - დაქვეითებული ჩანაწერები უნიკალური
 13. ქართული პოეტის ანთოლოგია - უნიკალური საავტორო ჩანაწერები
 14. მახვილ ვადაშვილი - მრავალი მოთხრობები
 15. მულტმედიური წიგნების ჩანაწერები - 6 წიგნი 1 DVD დისკში
 16. ლიტერატურული ახალი - გრაფიკული ფორმალა ვაი მურღულია თეატრის დიპლომატი
- თარგმანები**
17. ინგლისურ-აზერბაიჯანული მოთხრობები - ქართულ და ინგლისურ ენებზე
 18. უილიამ შექსპირი - ნაწარმი - ქართულ და ინგლისურ ენებზე
 19. ინგლისურ-აზერბაიჯანული მოთხრობები - ქართულ და ინგლისურ ენებზე
 20. ა. კონსტანტინოვი - იაშვილი ვაჟაშვილი - ქართულ და ინგლისურ ენებზე
 21. შარტ ტეზი - ტომ სოფრის მიწვევა - ქართულ და ინგლისურ ენებზე
 22. მთავლის ხალხი ზღაპრები - ქართული, ინგლისურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე
 23. ივანე - ქართულ, ინგლისურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე
 24. ისტორიული ლიტერატურა - ანთოლოგია - ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე

უცხოენოვანი ლიტერატურა – 110 ლარი.

1. ბრიტანული პოეტის ანთოლოგია - ინგლისურ ენაზე
2. ამერიკელი პოეტის ანთოლოგია - ინგლისურ ენაზე
3. საქსონური ლიტერატურა - კაპიტან ბლანის თანდასახელო; რიბისის კრწისი; განსა კრწისი - ინგლისურ ენაზე
4. საქსონური ლიტერატურა - გულდენის თანდასახელო; რიბისის პუბლიცისტიკა და მთხრობები - ინგლისურ ენაზე
5. არტურ კონან დოილი - შერლოკ ჰოლმის თანდასახელო; შერლოკ ჰოლმის მოთხრობები; შერლოკ ჰოლმის დაბრუნება - ინგლისურ ენაზე
6. რუსული პოეტის ანთოლოგია - უნიკალური საავტორო ჩანაწერები - რუსულ ენაზე
7. რუსული პოეტის ანთოლოგია - უნიკალური საავტორო ჩანაწერები - რუსულ ენაზე
8. ალექსანდრე პუშკინი - დაქვეითებული პოეტები; მკურნე ტრაგედია - რუსულ ენაზე
9. ანტონ ჩეხოვი - მოთხრობები - რუსულ ენაზე
10. ანა ხანკოვა - დაქვეითებული უნიკალური საავტორო ჩანაწერები
11. დიდი რუსული - წიგნები; უნიკალური საავტორო ჩანაწერები
12. XX საუკუნის ხედი - XX საუკუნის გამომცემლობა ანთოლოგია ენაზე პოეტური ნაწარმი განთავსების უნიკალური საავტორო ჩანაწერები

გადახდა შესაძლებელია 2 ნაწილად 2 თვის განმავლობაში
სხ „საქართველოს ბანკის“ ცენტრალური ფილიალი;
მისი 220101502, ა/ა 468999500 ს/კ 202460327
შ.პ.ს „გამომცემლობა პეგი“

**ქუთაისის კვებისა და
ფარმაცევტული მრეწველობის
ინსტიტუტი**

**ბაკალავრიატის პირველ,
მეორე (კოლაჯდამთავრებულთათვის),
მესამე (უმალღესდამთავრებულთათვის)
კურსებზე ჩარიცხავს მსურველებს
სპეციალობებზე:**


- ფარმაცია და მენეჯმენტი
- ნარმოების ეკონომიკა და მენეჯმენტი
- კვების მრეწველობის დარგები
- სასტუმრო და ტურისტული ბიზნესი

როგორც დღის, ასევე დაუსწრებელ განყოფილებაზე,
ინდივიდუალური გრაფიკით.

**მიღება გაგრძელდება წლის ბოლომდე.
შეღვათიები ვრცელდება დეკემბრამდე, ერთი
ოჯახის წევრებზე და მრავალპილიანი ოჯახის
წევრზე.**

**ინსტიტუტთან ფუნქციონირებს ეპილაციისა და
კოსმეტოლოგიის სამთვნიანი ფასიანი კურსები
კაბინეტური სწავლებით.**

ქუთაისი, წარმოების ქუჩა 129.
ტელ: (8 231) 3 22 93; 4 30 16; 8 55 59 72 68.
ინსტიტუტის რეჟიმის, პროფესორი გულარ კონსტანტინიძე



**სოსილური პროგრამის დაფინანსების მოსაპოვებლად
სტუდენტებმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია
(განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 07 სექტემბრის N736 ბრძანება)**

- განცხადება;
- პირადობის მონომობის ასლი;
- 2009 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლი;
- ატესტატის ასლი;
- ის ინდივიდუალური ცნობები, რომლის საფუძველზეც გაიცემა სოციალური გრანტი:
 1. მაღალმთიანი და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში მცხოვრებმა და აზერბაიჯანულ-ლენოვან და სომხურენოვანმა სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან შესაბამის სკოლაში ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ;
 2. სტუდენტებმა, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა შვილები, უნდა წარმოადგინონ: დაბადების მონომობის, მშობლის გარდაცვალების მონომობისა და „საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის“ მიერ გაცემული მონომობის ასლები;
 3. სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, უნდა წარმოადგინონ სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 4. სტუდენტებმა, რომლებიც არიან კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები, უნდა წარმოადგინონ: ცნობა პირის სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტაციის შესახებ და შთამომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
 5. უდემდამო სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ: დაბადების მონომობისა და მშობლების გარდაცვალების მონომობის ასლები;
 6. მრავალპილიანი ოჯახის წევრმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი და და-ძმების დაბადების მონომობის ასლები;
 7. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ: მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
 8. სოციალურად დაუცველმა სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში რეგისტრაციის მონომობის ასლი.

**განცხადება მიიღება 2009 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში
მისამართი: ქ.თბილისი, უზნაძის №52.**

ოფისიური დოკუმენტი

ველზე დაემატება ამავე კატეგორიაში შემავალი ქვეკატეგორიის შესაბამის პროგრამას.

4. თუ აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ დადგენილების მე-3 მუხლის მე-3-მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული კატეგორიების დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა ნაკლებია ადგილთა რაოდენობაზე, დარჩენილი რაოდენობა იმავე კატეგორიის პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე კონკურსის შემთხვევაში დაემატება ამ პროგრამაზე ადგილთა რაოდენობას დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად და გადანაწილდება ამ დადგენილების მე-5 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული პრინციპით.

5. თუ პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ დადგენილების მე-3 მუხლის მე-3-მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული კატეგორიების დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა ნაკლებია ადგილთა რაოდენობაზე, დარჩენილი რაოდენობა იმავე კატეგორიის აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე კონკურსის შემთხვევაში დაემატება ამ პროგრამაზე ადგილთა რაოდენობას დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად და გადანაწილდება ამ დადგენილების მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული პრინციპით.

მუხლი 7. დარჩენილი თანხის გადანაწილება

1. თუ ამ დადგენილებით გათვალისწინებული თანხა სრულად არ გაიცა დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებული კატეგორიების მიხედვით, ამ დადგენილების მე-5 მუხლით განსაზღვრული პრინციპის შესაბამისად იგი გადანაწილდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- ა) ამ დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანაბარქულიანი სტუდენტები;
 - ბ) ამ დადგენილების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კატეგორიის პირები;
 - გ) 2008-2009 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტები (საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილებს), რომლებმაც ვერ მოიპოვეს სრული გრანტი ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის, 2008-2009 სასწავლო წლის სოციალური პროგრამის დაფინანსების ფარგლებში;
 - დ) ამ დადგენილების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული კატეგორიის პირები;
 - ე) ამ დადგენილების მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული კატეგორიის პირები.
2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადანაწილების შემდეგ ამ დადგენილებით განსაზღვრული თანხა სრულად არ გაიცა, დარჩენილი თანხა დადგენილების მე-5 მუხლით განსაზღვრული პრინციპის მიხედვით გადაუნაწილდება იმ სტუდენტებს, რომელთა ოჯახები რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე.

მუხლი 8. განცხადების წარდგენა

- 1. სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტი წარადგენს განცხადებას, რომლის ფორმა და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა მტკიცდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
- 2. ამ დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-3-მე-8 პუნქტებით, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სტუდენტები სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მისაღებად განცხადებას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარადგენენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 20 დღისა.

3. ამ დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტუდენტები ასევე უფლებამოსილი არიან განცხადება წარადგინონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში – საგანმანათლებლო რესურსცენტრში (შემდგომში – საგანმანათლებლო რესურსცენტრი) ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 დღისა. საგანმანათლებლო რესურსცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთი კვირის ვადაში წარუდგენს ამ დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტუდენტების განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტაციას.

4. ამ დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტუდენტები, სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მისაღებად განცხადებას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარადგენენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 10 დღისა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ერთი კვირის ვადაში დაადგენს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს სტუდენტებისაგან მიღებული დოკუმენტების შესაბამისობას ამ დადგენილებით განსაზღვრულ პირობებთან.

5. ამ დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტუდენტები სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მისაღებად განცხადებას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარადგენენ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციაში ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 10 დღისა. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია ერთი კვირის ვადაში დაადგენს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს სტუდენტებისაგან მიღებული დოკუმენტების შესაბამისობას ამ დადგენილებით განსაზღვრულ პირობებთან.

მუხლი 9. გადაწყვეტილება დაფინანსების მინიჭების შესახებ

- 1. სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
- 2. სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში, ამ პირის მოთხოვნის საფუძველზე ცნობის სახით გაიცემა ამონაწერი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიდან.

მუხლი 10. პროგრამის გავრცელება და ხელმისაწვდომობა

2009-2010 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ან პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების შესახებ, დაინტერესებული პირების ინფორმირების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს ამ დადგენილების საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მიწოდება, ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელება.

მუხლი 11. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური

საქართველოს მშვიდობის კორპუსი

აცხადებს კონკურსს

საჯარო სკოლებისათვის კახეთის, ძველი ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, აჭარისა და გურიის რეგიონებიდან ინგლისური ენის/განათლების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად

კონკურსში გამარჯვებულ სკოლებს საშუალება მიეცემათ, ითანამშრომლონ ამერიკელ მოხალისე მასწავლებლებთან 2010-2012 სასწავლო წლის განმავლობაში; ერთობლივი მუშაობის შედეგად აამაღლონ ინგლისური ენის სწავლების დონე და დაწერონ ახალი მეთოდოლოგია. მეცხრე წელია, განათლების პროგრამა წარმატებულად ხორციელდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. ამჯერადაც, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ვინცვეთ მხოლოდ საქართველოს ზემოთ აღნიშნულ რეგიონებში არსებულ სკოლებს (თბილისის გარდა), რომლებშიც ინგლისური ისწავლება უცხო ენად კვირაში, მინიმუმ, 15 საათი.

თუ თქვენი სკოლა ეკუთვნის ზემოთ აღნიშნულ რეგიონს და დაინტერესებულია მოხალისესთან თანამშრომლობით 2010-2012 აკადემიურ წლებში:

- ◆ გაეცანით თანდართულ საინფორმაციო ბროშურას;
- ◆ სრულად შეავსეთ მოხალისის მოთხოვნის ფორმა (ინგლისურ ენაზე).

შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმა მოგვანოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე: ბურძგლას ქ. N 110 ბ, საირმის გორა, საბურთალო, თბილისი

ან გამოაგზავნეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: asikharulidze@ge.peacecorps.gov

შესავსები მოხალისის მოთხოვნის ფორმის და საინფორმაციო დანართის მიღება შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ოფისში ან განათლების რაიონულ რესურსცენტრებში.

სკოლის მიერ შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმის მიღების საბოლოო ვადაა 2 ოქტომბერი, 2009 წელი.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით განათლების პროგრამის ხელმძღვანელს: ასმათ სიხარულიძე. ტელ: (8 32) 24 12 24, ფაქსი: (8 32) 39 93 32, ელ-ფოსტა: asikharulidze@ge.peacecorps.gov



განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ნიკა გვარამიამ ქუთაისში ა.კ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეაბილიტაციული კორპუსი გახსნა და ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლის 12 წარმატებული მოსწავლე პერსონალური კომპიუტერებით დააჯილდოვა.

ქუთაისის ა.კ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია „საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა, რაზეც 700 000 ლარი დაიხარჯა.

რეაბილიტაციის შედეგად უახლესი ტექნიკით აღიჭურვა საკონფერენციო აუდიტორია, ინტერნეტ-ლაბორატორია, ზოოლოგიური მუზეუმი, 2 სამკითხველო დარბაზი. კეთილმოეწყო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია.

ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლამ 2009 წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში გამოვლენილ 30 საუკეთესო სკოლას შორის მე-2 ადგილი დაიკავა.

პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, სულ 3 191 წარჩინებულ მოსწავლეს გადაეცემა პერსონალური კომპიუტერები, მათ შორის 195 – ქუთაისელ მოსწავლეს. წელს „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ბიუჯეტი 2 400 000 ლარია.



დამტკიცდა პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმი. პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ მოსწავლეები, რომელთა 2008-2009 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის ნიშანი შეადგენს 9,7 ქულას და მეტს.

პროგრამა მეორე წელია მიმდინარეობს და მიზნად საქართველოს სკოლებში წარჩინებული მოსწავლეებისათვის პირად სარგებლობაში პერსონალური პორტატული კომპიუტერების (ნოუთბუქების) გადაცემით, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლისა და სწავლების მეთოდების შემოღებასა და ხელშეწყობას ისახავს.

დამტკიცებული კრიტერიუმის შესაბამისად უკვე გამოვლინდა 3000-ზე მეტი ბენეფიციარი, რომელთაც საჩუქრად ამ ტიპის პორტატული კომპიუტერები გადაეცემა.

პროგრამის ფარგლებში კომპიუტერების გადაცემას სასწავლო წლის დაწყებისთანავე საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო უზრუნველყოფს.



გამოცდების ეროვნული ცენტრის განცხადება კონტროლის პალატის დასკვნასთან დაკავშირებით

გამოცდების ეროვნული ცენტრი აცხადებს, რომ არ ეთანხმება საქართველოს კონტროლის პალატის 2008 წლის 25 მარტის შემოწმების აქტში დაფიქსირებულ არც ერთ შენიშვნას და ბაზენი ამომწურავი განმარტებები დასკვნის თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით. კონტროლის პალატის დასკვნა გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2008 წელსვე გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრის განმარტებები საქართველოს კონტროლის პალატის 2008 წლის 25 მარტის N41/20 შემოწმების აქტში დაფიქსირებულ შენიშვნებთან დაკავშირებით

შენიშვნა პირველი
2005-2006 წლების, აგრეთვე 2007 წლის პირველი ნახევრის ბიუჯეტის პროექტები ცენტრს არ მოუმზადებია და განათლების სამინისტროსთვის არ წარუდგენია

განმარტება
შენიშვნის შინაარსი არ შეესაბამება რეალობას – ცენტრს, წლიური ბიუჯეტები, ხსენებულ წლებში მომზადებული აქვს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სსიპ განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრთან ერთად, მსოფლიო ბანკის მოთხოვნილ ფორმატში და წარდგენილი აქვს მსოფლიო ბანკსა და განათლების სამინისტროში საკოორდინაციო ცენტრის მეშვეობით, რაც წარმოადგენდა საკოორდინაციო ცენტრის ერთ-ერთ ფუნქციას საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე. 2007 წლის მეორე ნახევრიდან, როდესაც ცენტრი გადავიდა საბიუჯეტო დაფინანსებაზე, ცენტრმა წარადგინა საბიუჯეტო განაცხადი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

შენიშვნა მეორე
მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკიდან გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში სრულად იყო გამოყოფილი როგორც ცენტრის ფუნქციონირების, ისე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებისთვის აუცილებელი თანხები, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დანესდა გამოცდებში მონაწილეობისა და ნაშრომების ხელმეორედ შემოწმების საფასური.

განმარტება
შენიშვნა აშკარა ფაქტობრივ უზუსტობას შეიცავს – ცენტრის მიერ მომზადებულ ბიუჯეტში, რომელიც წარედგინა მსოფლიო ბანკს დასამტკიცებლად, გათვალისწინებული იყო მხოლოდ მსოფლიო ბანკიდან და თანადაფინანსებიდან მისაღები გრანტის თანხები. ბიუჯეტში არ იყო ასახული საკუთარი შემოსავლებიდან გასანევი ხარჯები, რამდენადაც, მსოფლიო ბანკის კომპეტენციაში არ შედის საგამოცდო ან რაიმე სხვა სახის გადასახადის დაწესება და ცენტრის ბიუჯეტში ჩარიცხვა.

შენიშვნა მესამე
ცენტრის მიერ, 1 მლნ 500 ათასი ლარის ოდენობის საკუთარი შემოსავლები განთავსდა ბაზისბანკში საკუთარ ანგარიშზე და ცენტრის მიერ მითითებული ვადიანი დეპოზიტის ხელშეკრულებები მოშლილ იქნა ვადამდე, რის გამოც ცენტრს სარგებელი არ მიუღია.

განმარტება
ხსენებული ოპერაციები არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და მსოფლიო ბანკის მოთხოვნებს,

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ დასახული მიზნის მიღწევა ვერ მოხერხდა (ამ ოპერაციიდან მიღებული მოგება მხოლოდ 4000 ლარის ოდენობით), რადგან 2006 წლის შემოდგომაზე ცენტრი გახდა დღგ-ს გადასხდელი ორგანიზაცია, რის გამოც ცენტრი იძულებული გახდა, გაეწყვიტა დეპოზიტური ხელშეკრულებები.

სადეპოზიტო ანგარიშის გახსნა შეთანხმებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, აგრეთვე ფინანსთა სამინისტროსთან.

შენიშვნა მეოთხე
ხშირ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა თანადაფინანსების აშშ დოლარის საბანკო ანგარიშზე მოკლევადიანი საბანკო სესხის აღების ფაქტებს. აშშ დოლარში აღებული სესხის ლარში და შემდგომ ლარის აშშ დოლარში კონვერტირებისათვის საკომისიო თანხის ოდენობამ 7500 ლარი შეადგინა.

განმარტება
ზემოთ მითითებულ სადოლარე საბანკო ანგარიშზე სადებეტო სადღო წარმოიშვებოდა საგრანტო თანხების შეფერხებით და დაგვიანებით მიღების გამო. აუცილებელია მიეთითოს, რომ ეს იყო უპროცენტო სესხი და მისი ძირითადი მიზანი სახელფასო დავალიანების დაფარვა იყო.

მსოფლიო ბანკის თანხებს, ცენტრი აშშ დოლარში იღებდა და კონვერსიაც და საკურსო სხვაობის ხარჯიც ჩვეულებრივი ხარჯი იყო და არ იყო დაკავშირებული ოვერდრაფტის აღებასთან.

შენიშვნა მესამე
ცენტრის მიერ არამიზნობრივად იქნა გახარჯული 16.5 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნა ცენტრის ხელმძღვანელისა და რამდენიმე თანამშრომლის ვაკის საცურაო აუზის და ფიტნეს კლუბის წევრობის ხარჯების დასაფარავად

განმარტება
გამოცდების ეროვნული ცენტრი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს უფლება თანამშრომელთა ნახალისების მიზნით გამოიყენოს ფულადი და სხვა სახის პრემიები. თანამშრომელთა ნახალისების მიზნით, გამაჯანსაღებელი აბონემენტების შეძენის შესახებ გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა გადაწყვეტილება მიიღო მაკონტროლებელთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით. ამ აბონემენტით სარგებლობა შეუძლო ცენტრის ნებისმიერ თანამშრომელს. ამისთვის სახსრები გამოიყო არა სახელნიფო ბიუჯეტიდან, არამედ ცენტრის საკუთარი შემოსავლების ანგარიშებიდან, რომლებშიც საკმაო ხვედრითი წილი გააჩნია ცენტრის კერძო დაკვეთებიდან მიღებულ შემოსავლებს (გენერალური პროკურატურა, ფინანსთა სამინისტრო, თბილისის მერია, საგარეო საქმეთა სამინისტრო და ა.შ.). ამ ტიპის შემოსავლების სახით ცენტრმა 2005 წელს მიიღო 29216 ლარი, 2006 წელს – 94410 ლარი, 2007 წელს კი – 110255 ლარი. სწორედ ამ შემოსავლებიდან, თანამშრომელთა ნახალისების მიზნით, განხორციელდა გამაჯანსაღებელი აბონემენტების შეძენა. საყურადღებოა, რომ თანამშრომელთა ამ სახით ნახალისება არ ეწინააღმდეგება არც მსოფლიო ბანკის მოთხოვნებს და არც საქართველოს კანონმდებლობას. ამასთან, თა-

ნამშრომელთა სასარგებლოდ გამოყენებული ნახალისების ზემოაღნიშნული ფორმა დაბეგრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საშემოსავლო გადასახადით და სრულად არის გადახდილი ბიუჯეტში.

შენიშვნა მეხუთე
საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა მივლინებების დანახარჯები კანონდაღვევით იქნა გაცემული 48 ათასი ლარის ფარგლებში

განმარტება
შენიშვნა არანაირად არ ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას – მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი გრანტის თანხებიდან, თანამშრომელთა მივლინებებზე გაიცემოდა სადღეღამისო ხარჯების დღიური ანაზღაურება 50 ლარის ოდენობით, ნაცვლად საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ გამოყენებული ნორმებისა (15 ლარი).

რის გამოც, ზედმეტად გაცემული თანხების სახით, რევიზორების მიერ გამოყვანილია 47 ათასი ლარი. განმარტავთ, რომ ზემოთ მითითებული თანხები, მივლინებულ მუშაკებზე გაცემულია არა როგორც სამივლინებო თანხები (რაც არ ექვემდებარება დაბეგრას), არამედ როგორც დამატებითი საზღაური მათ მიერ მივლინების პერიოდში შესასრულებელი სამუშაოს გამო. რაც ნაწარმოებია დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში. ის საკითხი, რომ აღნიშნული თანხა მართლაც საზღაურს (დამატებით შრომით ანაზღაურებას) წარმოადგენდა იმითაც დასტურდება, რომ აღნიშნული თანხები სრულად დაბეგრულია საშემოსავლო გადასახადით.

აღნიშნული ანაზღაურება ხორციელდებოდა მხოლოდ 2006 წლამდე, როდესაც პირველად ჩატარდა ერთიანი ეროვნული გამოცდები და, შესაბამისად, გაცილებით მეტი მოცულობის სამუშაო იყო ჩასატარებელი, ვიდრე მომდევნო წლებში. ცენტრი 15-ლარიან სამივლინებო ნორმაზე გადავიდა 2006 წლიდან.

შენიშვნა მეექვსე
ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის გამო შექმნილ იქნა 130 ათასი ცალი სანერი ავტოკალამი. შედეგად, განუვლ იქნა 120 ათასი ლარის ოდენობის ზედმეტი ხარჯი.

განმარტება
გელიანი კალმების შექმნა აუცილებელი იყო, რადგან პასუხების ფურცლების გასასწორებლად გამოიყენება მაღალტექნოლოგიური სკანირების მეთოდი. აღნიშნული სკანერი კითხვობის მხოლოდ გელიანი (და არა ბურთულიანი ან სხვა ტიპის) კალმით შესრულებულ ნაშრომს, რაც მკაფიოდაა მითითებული სკანერის ინსტრუქციებში. სწორედ ამ მიზნით იქნა შექმნილი სპეციალური გელიანი კალმები აბიტურიენტებისათვის. გელიანი კალმების გამოყენება არ ეწინააღმდეგება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებას, ვინაიდან გელიანი კალმებით ხდებოდა აბიტურიენტთა მიერ პასუხების ფურცლის შევსება. სხვა ტიპის კალმები მათ შეუძლო გამოიყენებინათ შავი სამუშაოსთვის. გელიანი კალმების ზემოაღნიშნული რაოდენობა ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის შექმნილ იქნა სამი წლის განმავლობაში.

ინფორმაცია



განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ნიკა გვარამიამ ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლაში მოინახულა, სადაც პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამის „იკობ გოგებაშვილი – საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“ ფარგლებში ნაწილობრივი რეაბილიტაცია განხორციელდა, რაზეც 50 000-მდე ლარი დაიხარჯა. მინისტრი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორთან, ირაკლი თოდუასთან ერთად ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებს გაეცნო. „ეროვნული გამოცდებიც გვიჩვენებს და ბოლო პერიოდში ჩატარებული ოლიმპიადებიც, რომ რაჭა-ლეჩხუმი სწავლის მაღალი ხარისხით გამოირჩევა, ამიტომ ჩვენც გვინდა, განსაკუთრებული ყურადღება გამოვხატოთ ამ რეგიონისადმი. წელს სკოლების რეაბილი-

ტაციისთვის მილიონ ორასი ათასი ლარი გამოიყო.“ – განაცხადა მინისტრმა. 2009 წელს, პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამის „იკობ გოგებაშვილი – საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“ ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში 29 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია განხორციელდა. ვიზიტის ფარგლებში, ნიკა გვარამია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის 200-მდე პედაგოგს ამბროლაურის №1 საჯარო სკოლაში შეხვდა. მინისტრმა ყველა კითხვას უპასუხა და მასწავლებლებს ახალი სასწავლო წლიდან განათლების სფეროში დაგეგმილ სიახლეებზე ესაუბრა.

ახალი სასწავლო წელი დაიწყო



წეროვანის ახალ დასახლებაში ომის დროს დაზარალებულებმა სასწავლო წელი ახალ შენობაში დაიწყეს. სასწავლო დაწესებულება მათივე დასახლებაში აშენდა. დღემდე პატარები ახლომდებარე სკოლებში დადიოდნენ.

წელს სასწავლო წლის დაწყება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ მოსწავლეებს საქართველოს პრეზიდენტმა, **მიხეილ სააკაშვილმა** პირადად მიულოცა.

წეროვანის №3 საჯარო სკოლა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, TBC ბანკის TBC ფონდმა დონორების თანამონაწილეობით ააშენა. მშენებლობა 2008 წლის ნოემბერში დაიწყო და 10 თვეში დასრულდა. **მამუკა ხაზარაძეს** განუთქმავს საქმიანობისათვის მადლობა პრეზიდენტმა პირადად გადაუხადა. „ეს არის ბრწყინვალე მაგალითი სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთთანამშრომლობის საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეში. ეს დღე მნიშვნელოვანია ჩემთვის. ბავშვებისათვის ეს ახალი ცხოვრების დასაწყისია“ – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ სკოლაში 970 მოსწავლე სწავლობს, აქედან 75 პირველკლასელია; მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრები (72-ვე პედაგოგი) ობიექტური და გამჭვირვალე კონკურსის წესით შეირჩა დასახლებიდან. სკოლის ყველა პირველკლასელს დაურთავს სასკოლო წიგნები და ჩანთები. ასევე, სასკოლო სახელმძღვანელოებით დასაჩუქრდა წეროვანის სკოლის ყველა მოსწავლე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლა ახალი მერხებით, 2 კომპიუტერული კლასით და უკაბელო ინტერნეტით აღჭურვა. TBC ფონდმა შეიძინა ქიმია-ბიოლოგიისა და ფიზიკის უახლესი ლაბორატორიები და საოფისე ინვენტარი. სკოლა უზრუნველყოფილია თანამედროვე ტიპის სპორტული დარბაზითა და სასადი-

ლოთი.

„ბედნიერი ვარ, რომ ასეთი კარგი სკოლა გვაქვს, ეს სკოლა აღმშენებლობის სიმბოლოა და გავრძელება იმ კურსისა, რომელიც დღეს ჩვენს სახელმწიფოს აქვს აღებული“, – განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **ნიკა გვარამიამ**.

იმ დღესვე, პრეზიდენტის განკარგულებით, აღდგა ოქროსა და ვერცხლის მედლების სისტემა. „თავიდან შემოვიღეთ ოქროსა და ვერცხლის მედალი, ამის გაუქმება შეცდომა იყო. ამაყი ვარ იმით, რომ ოქროს მედალი მაქვს აღებული, ამაზე დიდი ჯილდო მე არ მიმიღია, ეს იყო ჯილდო ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის. ასე რომ, ეს ჯილდოც თქვენთვის და თქვენი ოჯახისათვის არის მნიშვნელოვანი. შემოვიღეთ ნახალისებები წარჩინებული მოსწავლეებისათვის, ასევე განვაახლეთ ოლიმპიადებიც“ – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ლონისძიების ფარგლებში, მიხეილ სააკაშვილმა ოქროსა და ვერცხლის მედლებით დააჯილდოვა რუსეთის აგრესიის შედეგად ოკუპირებული ტერიტორიებიდან დროებით გადაადგილებული მოსწავლეები, რომლებმაც წარჩინებით დაამთავრეს სკოლა 2009 წელს.

ოქროს მედლით დაჯილდოვდა 3 მოსწავლე: **ლელია დავითიძე, რუსუდან ზანგალაძე, თამარ ხუბულური**.

ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა 5 მოსწავლე: **ლია ბერუაშვილი, თამარ შოშიტაშვილი, მეგი ვახტანგაშვილი, ლელა ქრისტესიაშვილი, ზოია ოსაძე**.

პრეზიდენტმა წეროვანის საჯარო სკოლის 3 მოსწავლეს, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს საბაზო საფეხური (9 კლასი), პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში, პორტატული კომპიუტერები გადასცა.

მიხეილ სააკაშვილმა ახალი სკოლის ეზო დაათვალიერა და მოსწავლეებთან ერთად პირველი ხეც დარგო.

საჯარო სკოლის გახსნის ცერემონიას დაესწრნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ირინე ქურდაძე**, TBC ბანკის გენერალური დირექტორი **მამუკა ხაზარაძე**, TBC ფონდის დირექტორი **ნინო დარჩიაშვილი**, ასევე, დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

რამინ ჩიტყვილი, წეროვანის №3 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

„ჩვენი სკოლის შენობა 1000 მოსწავლეზეა გათვლილი, სავარაუდოდ, შეიძლება მოსწავლეთა რაოდენობამ მოიმატოს და ორცვლიან სწავლებაზე გადავიდეთ. სიმართლე გითხრათ, ამდენ განაცხადს არ ველოდით, გარკვეული რაოდენობა ნიღვის დევნილების კომპაქტური დასახლებიდანაც შემოვიდა.“

თანამედროვე სტანდარტებით აშენებული სკოლის შენობა 6000 კვ. მეტრია. გვაქვს 600 კვ. მეტრი სპორტული დარბაზი და ვგეგმავთ ყველა სახის სპორტული, ასევე, ხელოვნების სექციების ამუშავებას. კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებით ყველა ბავშვი დასაქმდება, გვინდა მოსწავლეები მაქსიმალურად დაკავებულნი იყვნენ. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, რომელიც, ალბათ, უახლოეს პერიოდში წიგნადი ფონდით შეივსება.“

მოსწავლეები დიდი ენთუზიაზმით არიან სავსე, მათი სურვილია, რომ სკოლა მხოლოდ ვიზუალურად კი არა, ხარისხიანი სწავლითაც გამოირჩეული იყოს. ამისათვის ჩვენს სკოლაში ყველა პირობა იქნება შექმნილი, ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის ინიციატივები, რომელსაც TBC ფონდთან ერთად მომავლისთვის ვგეგმავთ. დაბოლოს, წეროვანის ახალი დასახლების სახელით მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ჩვენს ბავშ-

ვებს წლებად დასწავლო წელს ასეთი საჩუქარი მოუშადა.“

მიხეილ სააკაშვილმა სწავლის დაწყება მთელ საქართველოს გარდაბნის რაიონიდან მიულოცა. საქართველოს პრეზიდენტი ვახტანგის მეორე საჯარო სკოლაში იმყოფებოდა. ამ სასწავლო დაწესებულებაში სულ 93 ბავშვი ირიცხება, მათ შორის 12 პირველკლასელი.

პრეზიდენტი დაესწრო მასწავლებელ **ნაზი ნიკლაურის** გაკვეთილს.

გაკვეთილის დროს პრეზიდენტმა **ნაზი ნიკლაური** ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

„თქვენ მრავალი წელია სკოლაში მოღვაწეობთ და თქვენ რომ არსებობთ, დიდი ბედნიერებაა ბავშვებისათვის. მათ შეუძლიათ ყოველდღე თქვენთან ურთიერთობა და ეს მათ ბევრს სძენს“ – აღნიშნა პრეზიდენტმა და განაცხადა, რომ დაიწყება ვახტანგის მეორე საჯარო სკოლის რეაბილიტაციის პროცესი.

მსჯავრდებულ არასრულწლოვნებს კალათბურთის საქართველოს ნაკრების წევრებმა სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს. **კოტე ტულუშთან** და **ძმებ ბოისებთან** ერთად ავჭალაში კალათბურთის ასოციაციის პრეზიდენტიც იმყოფებოდა. მათ მსჯავრდებულებს საჩუქრები, ბურთები და სპორტული ინვენტარი გადასცეს და კალათბურთიცი ითამაშეს.

ახალ სასწავლო წელს ავჭალის არასრულწლოვნებს სიურპრიზი **დიმიტრი შაშკინმა** მოუწყო. სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა 150 მოზარდს ახალი სახელმძღვანელოები გადასცა. არასრულწლოვანთა აღზრდელითი დაწესებულება წელს განათლების ერთიან სისტემას უერთდება.



ქართულმა მოსწავლეებმა ინფორმატიკის მსოფლიო ოლიმპიადაზე ერთი პირველი და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს

მიმდინარე წლის 8-15 აგვისტოს საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში ჩატარებულ ინფორმატიკის 21-ე მსოფლიო ოლიმპიადაში, რომელშიც 80-მდე ქვეყანა მონაწილეობდა.

ოლიმპიადაზე ჩვენი ქვეყნის ნაკრები წარმოდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით: **ლევან ვარამაშვილი** – თბილისის დემირელის სახ. კერძო კოლეჯის მე-12 კლასის მოსწავლე; **მარიამ კობიაშვილი** – თბილისის დემირელის სახ. კერძო კოლეჯის მე-11 კლასის მოსწავლე; **ცოტნე ტაბიძე** – ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე; **ზურაბ კუცია** – თბილისის 24-ე საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე (თბილისის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“); **გიორგი მანდარია** – გუნდის მწვრთნელი (ხელმძღვანელი); **ზაზა გამეზარდაშვილი** – გუნდის მწვრთნელი (ხელმძღვანელის მოადგილე); **ნიკოლოზ ჯიმშელიაშვილი** – გუნდის მწვრთნელი. გუნდს თან ახლდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამართლებლო უფროსი **ეკატერინე ლეჟავა**.

ოლიმპიადაზე ნაკრების ოთხივე წევრმა მედალი მოიპოვა. ცოტნე ტაბიძემ ვერცხლის, ხოლო მარიამ კობიაშვილმა, ზურაბ კუციამ და ლევან ვარამაშვილმა ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ეს რომ უდავოდ დიდი წარმატებაა, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ოლიმპიადის მონაწილე 80-მდე ქვეყნიდან ოთხი მედალის მოპოვება (ყველა ქვეყნის გუნდში, მაქსიმუმ, 4 მოსწავლეა) მხოლოდ ოცმა ქვეყანამ შეძლო. ჩვენი შედეგით უკან ჩამოვიტოვეთ მსოფლიოს ბევრი განვითარებული და ჩვენზე გაცილებით მრავალრიცხოვანი ქვეყანა.

ერთიანი ინტენსიური მოსამზადებელი შეკრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო, ხოლო ბოლო ათი დღე მეცადინეობები მიმდინარეობდა დაბა ბაკურიანის საჯარო სკოლაში, სადაც გუნდს კარგი პირობები ჰქონდა მომზადებისთვისაც და დასვენებისთვისაც.

მსოფლიო ოლიმპიადა ორ ტურად ტარდება. წელს პირველად თითოეულ ტურზე მონაწილეებს ამოსახსენებლად 4 ამოცანა (აქამდე ამოსახსენებელი ამოცანების რაოდენობა 3 იყო) მიეცათ, ხოლო სამუშაო დრო – 5 სათრეო-მიუღი საათი იგივე დარჩა, რამაც, რასაკვირველია, კიდევ უფრო გაართულა სამუშაო პირობები და უფრო ძნელი გახადა წარმატების მიღწევა. მით უმეტეს, რომ ყოველი ამოცანა საკმაოდ რთული ეკონომიკური ტიპის პრობლემაა, რომელიც ოპტიმალურ გადაწყვეტას მოითხოვს განსაკუთრებით დიდი რაოდენობის მონაცემებისთვის. გართულდა გუნდის მწვრთნელების სამუშაოც, რომლებიც ორივე ტურის წინა ღამით, 7-8 საათის განმავლობაში, ამოცანების ინტენსიურიდან ქართულად თარგმნიან. გარდა იმისა, რომ ამოცანების რაოდენობა გაიზარდა, ყოველი მათგანის პირობა 3 თაბახის ფურცელს მოიცავდა და ჯამში, თითოეული ტურის წინ, 12 გვერდის თარგმნა გახდა აუცილებელი. ეს კი, თუ ამოცანათა პირობების სირთულეს და შეზღუდულ დროსაც გაითვალისწინებთ, საკმაოდ ძნელი და პრობლემატიკური სამუშაოა. თვითონ მონაწილეებმა 5 საათის განმავლობაში უნდა მოასწონ ამოცანების პირობებში გარკვევა, მათი ფორმალიზაცია (მათემატიკური მოდე-



ლის შექმნა), ოპტიმალური ალგორითმების მოფიქრება, შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების დანერგვა, მათი გამართვა და ტესტირება. ეს კი მოითხოვს კარგ ფანტაზიას, სწრაფ აზროვნებას, ალგორითმის მეთოდების ღრმად ცოდნას, დაპროგრამების ტექნიკის უზადოდ ფლობას, მინიგანი მობილიზაციის დიდ უნარს, მტკიცე ნებისყოფას და, სხვათა შორის, კარგ ფიზიკურ მომზადებასაც.

ინფორმატიკის ოლიმპიადაზე სამუშაო პროცესი მთლიანად ავტომატიზირებულია, ანუ სპეციალური ავტომატიზირებული სისტემა ლეზულობს მოსწავლეთა მიერ დანერგულ პროგრამებს, ტესტავს მათ სასინჯ ტესტებზე და იძლევა შესაბამის დიაგნოსტიკას, ხოლო ოლიმპიადის დასრულებისთანავე, ასევე ავტომატურად, ტესტავს ჩაბარებულ ნამუშევრებს სამეცნიერო კომიტეტის მიერ მომზადებულ ტესტებზე და შესაბამის შეფასებებს იძლევა. ყოველივე ეს კი საშუალებას იძლევა, ნაშრომების შეფასების დროს სრულიად გამორიცხოს სუბიექტური ფაქტორი. ტრადიციულად, ოლიმპიადის დაწყების წინა დღეს იმართება საჯარო ტური, სადაც მოსწავლეები ზემოთ ნახსენებ სისტემას სინჯავენ და მასთან ურთიერთობას ეჩვენებენ.

მათემატიკის და ფიზიკის ოლიმპიადებისგან განსხვავებით, სადაც ნაშრომების გასწორება ხელით ხდება და მონაწილეს შეიძლება მცირე შეცდომა უკატისოს, ინფორმატიკის ოლიმპიადაზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროგრამების შემოწმების პროცესი სრულიად ავტომატიზირებულია და უმცირესი შეცდომის გამოც კი შეიძლება მონაწილემ ნულური შეფასება მიიღოს. ამიტომაც, ამ ოლიმპიადებზე ნებისმიერი სინჯის მედლის მოპოვება საკმაოდ რთულია და, ამავდროულად, ძალიან პრესტიჟულიც.

რა თქმა უნდა, გუნდის ხელმძღვანელებს უფრო უკეთესი შედეგის მიღწევაც გვსურდა, რის საფუძველსაც ჩვენ მიერ წინასწარ ჩატარებული სანვრთნელი შეკრებები და მოსწავლეთა მომზადების მაღალი დონეც იძლეოდა.

თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინფორმატიკის ოლიმპიადის თავისი სპეციფიკაცა აქვს და, ამიტომ, მიღწეული შედეგიც დიდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. აქვე უნდა ითქვას, რომ ზამთრის არდადეგების პერიოდში, ნაკრების წევრებისა და კანდიდატებისათვის (სულ 12 მოსწავლე) ბაკურიანში 10-დღიანი შეკრება ჩატარდა, რომელიც „საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებისა და ინფორმატიკის ოლიმპიადების მხარდაჭერა ასოციაციამ“ დააფინანსა, რამაც ასევე თავისი დადებითი როლი ითამაშა ნაკრების მიერ მიღწეულ წლებანდელ წარმატებაში. აუცილებელია, რომ წლის განმავლობაში ასეთი ტიპის ერთი-ორი შეკრება მაინც ყოველ წელს იქნება მოწყობილი და სასურველია, თუ სახელმწიფო მათ დაფინანსებას თავის თავზე აღიწევს.

თვითონ ოლიმპიადა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. მონაწილეები (როგორც მოსწავლეები, ასევე უფროსებიც) ხუთვარსკვლავიანი კომფორტულ სასტუმროებში იქნენ განთავსებული და ყველა პირობა ჰქონდათ ნაყოფიერად მუშაობისათვის. ტურებს შორის თავისუფალ დღეს დელეგაციები დასასვენებლად და გასართობად ნაიყვანეს პლოვდივის აქვალენდში და კარტინგ კლუბში, მოეწყო რამდენიმე საინტერესო ექსკურსიაც.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ვერცხლის მედლის მფლობელ მოსწავლეებს – 3000, ხოლო ბრინჯაოს მედლის მფლობელებს 2000 ლარით დააჯილდოებს, რაც ძალიან მისასალმებელი ფაქტია. სასურველია, თუ ნახალისებული იქნება მწვრთნელთა ის რთული და მძიმე შრომაც, რომელსაც ნაკრების მომზადებელი თუ უშუალოდ ოლიმპიადის მიმდინარეობის პერიოდში ეწევიან.

გარდა ამისა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, მომავალი წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ამ სფეროში სერიოზული ინფრასტრუქტურის შექმნა და პროცესისათვის უფრო მასობრივი ხასიათის

მიცემა დაგეგმილი. საქართველოში, ამ მიმართულებით, ჯერჯერობით, მხოლოდ რამდენიმე სასწავლო დაწესებულებაში მიმდინარეობს მუშაობა და ნაკრების მოქმედი მწვრთნელები და პედაგოგებიც მათში არიან დაკავებული. ესენია: **ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლა, თბილისის დემირელის სახ. კერძო კოლეჯი, თბილისის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“, თბილისის 42-ე საჯარო სკოლა და თბილისის 199-ე საჯარო სკოლა**. სასურველია, თუ მოხერხდება თბილისში ოლიმპიური ცენტრის შექმნა, რომლის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში მონაწილეობას ამჟამად მოქმედი მწვრთნელები, პედაგოგები და ყოფილი ოლიმპიელები მიიღებენ. ეს საშუალებას მოგვცემს: შეიქმნას სპეციალური ინტერნეტპორტალები (დაუსწრებელი სწავლება პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის), წლის განმავლობაში ჩატარდეს ე.წ. ონლაინ შეჯიბრებები, მოეწყოს ნაკრების პოტენციური კანდიდატების შეკრებები და პედაგოგიური კადრის მოსამზადებელი ტრენინგები, გამოიცეს შესაბამისი ლიტერატურა და ა.შ. ეს კი, მსოფლიო ოლიმპიადებზე საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალის ღირსეულად წარმოჩენისა და სტაბილური შედეგების ჩვენებასთან ერთად, ხელს შეუწყობს სამეცნიერო-ტექნიკური ელიტის და საინფორმაციო საზოგადოების დროულად ჩამოყალიბებას, რის გარეშეც წარმოდგენილია ქვეყნის განვითარება, თანამედროვე მსოფლიო საინფორმაციო საზოგადოებაში ინტეგრაცია და განვითარებულ ქვეყანათა შორის ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

წლებანდელი ნაკრების მომზადებაში და მსოფლიო ოლიმპიადაზე გამგზავრებაში ბევრმა ადამიანმა თუ დაწესებულებამ შეიტანა თავისი წვლილი. თანადგომისა და ხელშეწყობისათვის დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ: **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს** (რომელმაც მთლიანად და დროულად გაიღო როგორც ეროვნული ოლიმპიადის ჩატარების, ასევე ნაკრების მომზადებისა და გამგზავრებისათვის საჭირო ყველა ხარჯი), **საქართველოს სამეცნიერო ეროვნულ ფონდს** (რომელსაც წელს პირველად დაეველა მსოფლიო ოლიმპიადებისათვის ნაკრები გუნდების მომზადების და გამგზავრების ორგანიზება და რომელიც ყველანაირად მხარში გვედგა), **თბილისის დემირელის სახ. კერძო კოლეჯს** (სადაც ნაკრების შესარჩევი ტურები ჩატარდა), **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს** (სადაც ნაკრების მოსამზადებელი პირველი 20-დღიანი ეტაპი მოეწყო) და **ბაკურიანის საჯარო სკოლას** (სადაც დასკვნითი ათდღიანი შეკრება ჩატარდა). ასევე, ნაკრების მომზადებაში განუღი დახმარებისათვის მადლობას ვუხდით პედაგოგ **გურამ კოთოლაშვილს** და ყოფილი ოლიმპიელებს **გიორგი ლეკვიშვილს** და **ელდარ ბოგდანოს**.

გიორგი მანდარია
ნაკრების მწვრთნელი
(ხელმძღვანელი)

ზაზა გამეზარდაშვილი
ნაკრების მწვრთნელი
(ხელმძღვანელის მოადგილე)

სახელობო გადასახლების პროექტების პრეზენტაცია

გორის რაიონის ხიდისთავის პროფესიული სწავლების ცენტრში სახელობო გადასახლების პროექტების პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას მხარს უჭერს საქართველოს ადმინისტრაციის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სოფელ ხიდისთავის პროფესიული სწავლების ცენტრში ხორციელდება რამდენიმე პროექტი სამშენებლო, სოფლის მეურნეობის, სამოქალაქო მომსახურების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ტურიზმის, ავტოსწავლების მიმართულებით.

პროექტები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აშშ საერთაშორისო სააგენტოს (USAID), ფრანგული საერთაშორისო ორგანიზაციის „პრემიერ ურჯენსი“, ნორვეგიის დევნილთა საბჭოს (NRS) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. აღნიშნული სარეაბილიტაციო ორგანიზაციები აქტიურად თანამშრომლობენ პროფესიული სწავლების ცენტრთან.

ცენტრის არსებობა ხელს უწყობს პროფესიული განათლების განვითარებას სახელობო პროფესიების სრულყოფილ შესწავლასა და ახალი პროგრამების დანერგვას, რეგიონის, ძირითადად, დევნილი

მოსახლეობის, საზოგადოებაში ღირსეულ ინტეგრაციას და დასაქმებას. რეგიონის მოსახლეობას, რომელიც განათლების ხიდისთავის პროფესიული სწავლების ცენტრში მიიღებს, აღნიშნული სპეციალობით მუშაობის სრული უნარი და პროფესიული დონე ექნება, ასევე ღირსეული ანაზღაურების მნიშვნელოვანი გარანტია, რამაც მათ ხელს შეუწყობს და დაეხმარება თვითონ სწავლების ცენტრი.

პროფესიული გადასახლების პროგრამით დევნილ მოსახლეობას საშუალება აქვს, უფასოდ მიიღოს განათლება. მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან უფასო მგზავრობითაც.

მსურველთა მიღება შემდეგ სპეციალობებზე ხორციელდება: კომპიუტერის ოპერატორი, სტილისტი, რადიოაპარატურის შემკეთებელი, მექანიკოსი, ავტომობილის შემკეთებელი-მექანიკოსი, მძღოლი, ტრაქტორისტ-მემანქანე, მსუბუქი ტანსაცმლის მკერავი, ფერმერი, ელექტრიკოსი, სანტექნიკოსი, შემდუღებელი და სხვ.

სამომავლოდ სასწავლებელი, რეგიონის საბაზო ინტერესებიდან გამომდინარე, ახალი სპეციალობების დანერგვას და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თუ ადგილობრივ დამსაქმებლებთან თანამშრომლობას გეგმავს. სტუდენტები

პრაქტიკას სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში გადიან და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულთა ნახევარზე მეტი საქმდება.

გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში პროფესიული სწავლების ცენტრი გაიხსნა და არსებობის განმავლობაში სასწავლებელი 507-მა მოსწავლემ დაამთავრა. ამჟამად, აქ 305 მოსწავლე სწავლობს. USAID-ის დაფინანსებით, სამშენებლო სპეციალობებში ყოველთვიურ გადასახლებას 278 მოსწავლე გადის. 21 სექტემბრიდან კიდევ 100 მოსწავლის მიღება და ახალი სპეციალობების დანერგვა იგეგმება.

მათემატიკა

უსხონოვანი (ბერგანული) ლიტერატურის სწავლების მეთოდი და მისი კომპიუტერი, ემოციური და დიდაქტიკური განხორციელება

მოკლე საწყისი ეტაპისათვის

ფლობდე უცხო ენას ნიშნავს აზროვნებდე და მეტყველებდე ამ ენაზე. ეს კი ხდება იმ დროს, როდესაც წყდება თარგმნითი პროცესი და ჩნდება შინაგანი განცდა აზროვნებისა და მეტყველების ერთიანობის, ამ მიზნის მისაღწევად საფუძველი სკოლებში იქმნება.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნული სასწავლო გეგმა დღესდღეობით ორი ან სამი უცხოური ენის სწავლებას ითვალისწინებს. ეს ევროსაბჭოს მიერ დადგენილ დონეებთან და მითითებებთან სასკოლო სტანდარტის შესაბამისობის უშუალო გამოვლინებაა. საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, ამ სფეროში შევიდა, სადაც შეუძლებელია უცხოური ენების ცოდნის გარეშე ინტეგრირება და საკუთარი შესაძლებლობის რეალიზება. გამომდინარე აქედან, სასკოლო განათლება მთავარ სახელმწიფო მიზნად ისახავს, მისცეს მოსწავლეს ისეთი განათლება, რომ მან შეძლოს:

- ორ ან სამ უცხოურ ენაზე მეტყველება;
- წარმატებული კომუნიკაცია სხვა კულტურის წარმომადგენლებთან;
- განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და ტექსტების გაგება;
- ნებისმიერი ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დაფასება და პატივისცემა;
- ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავება და გამდიდრება ენობრივი თუ კულტურული თვალსაზრისით (ეროვნული სასწავლო გეგმა, უცხოური ენების სტანდარტი, პროექტი, მეორე რედაქცია 2006).

თუ რამდენად შეძლებენ ჩვენი მოსწავლეები ამ მიზნებთან ახლოს მისვლას, ბუნებრივია, დამოკიდებულია უცხოური ენის გაკვეთილზე. გაკვეთილთან მიმართებაში კი გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება:

- მასწავლებლის განათლებას;
- გაკვეთილის აგებას;
- სასწავლო მასალას;
- დიდაქტიკურ მეთოდს;
- მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებას.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სამივე საფეხურისათვის: დაწყებითი /III-VI/, საბაზო /VII-IX/ და საშუალო /X-XII/ ზუსტად არის განსაზღვრული უცხოური ენის სწავლების მიმართულებები: მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა, სწავლის სწავლა, კულტურათა დიალოგი. აქედან პირველი 4 მიმართულება (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა) ემსახურება უცხოურ ენაზე სამეცნიერო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. სასკოლო კონტექსტში უცხოურ ენაზე კომუნიკაცია ორი სახის /ხელოვნურად და რეალურად/ შექმნილ საკომუნიკაციო სიტუაციებში ხორციელდება, სადაც თავიდანვე ექცევა ყურადღება უცხოური ენის საკომუნიკაციო ენად გამოყენებას.

უცხოური ენის სწავლების სამი ძირითადი ეტაპიდან: საწყისი /III-IV კლასი/, შუა /V-VII კლასი/, ბოლო /IX-XII კლასი/ თითოეულს თავისი დიდაქტიკური დატვირთვა აქვს. მეტყველების განვითარებაზე შუა ეტაპი /V-VII კლასი/ აკეთებს აქცენტს. აქ პრიორიტეტულ ამოცანად რჩება მოსწავლეთა უცხოურ ენაზე ამეცნიერება. ამ საფეხურზე სწავლის პროცესმა უნდა უზრუნველყოს წინა საფეხურზე გავლილი მასალის უწყვეტი გამოყენება, მისი თანდათანობითი გამდიდრება და ახალ საფეხურზე გამოყენება. ამისათვის კი აუცილებელია საკომუნიკაციო სიტუაციის მრავალფეროვნება. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვნად მიმართა სწორედ ამ ეტაპზე ლიტერატურასთან შეხება. საწყისი ეტაპისათვის, ალბათ, მიზანშეწონილი იქნებოდა მცირე ლექსებით შემოფარგვლა.

ლიტერატურულ ტექსტთან მუშაობა ნიშნავს ჩანვედ ტექსტის აზრს, გაიგოს და გაიაზროს, როგორ ხდება ეს?

მოსწავლეს წასაკითხად ეძლევა ლიტერატურული ტექსტი, რომელიც გარკვეულ სასაუბრო თემას სთავაზობს. კითხვის პროცესში მყარდება გარკვეული ურთიერთობა მკითხველ მოსწავლესა და ტექსტს შორის. მოსწავლე, თავისი ცოდნის გამოყენებით, გარკვეულ წარმოდგენას იქმნის შემოთავაზებულ თემაზე. გარკვეულ ადგილზე იგი ხვდება, რომ მისი წარმოდგენა არ არის სწორი, ვინაიდან თემა სხვა მიმართულებით იშლება. იგი კვლავ უბრუნდება წაკითხულს, შესწორება შეაქვს თავის წარმოდგენაში და ამ შეცვლილი ვარიანტით აგრძელებს კითხვას.

კითხვითი მეტყველების დროს საკუთარი წარმოდგენების გადამოწმებისა და შესწორების მომენტები მუდმივად მეორდება, რაც იმაზე ნიშნავს, რომ მკითხველი ინტენსიურად არის ჩართული ტექსტთან დიალოგში. ასეთი დიალოგი კი მკითხველ მოსწავლეს საშუალებას აძლევს, მუდმივად გადამოწმოს თავისი ცოდნა, შეცვალოს თავისი შეხედულებები, სულ სხვა კუთხით დაინახოს და შეიგრძნოს ესა თუ ის მოვლენა, შეიძინოს და გაიღრმავოს ცოდნა.

უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტთან ურთიერთობის გამოცდილება უცხოური ენის სწავლების საშუალო ეტაპზე მყოფ მოსწავლეებს, მართალია, მშობლიური ლიტერატურის გაკვეთილებიდან უკვე აქვთ, მაგრამ გამომდინარე უცხო ენის სპეციფიკიდან (ის არის შესასწავლი ენა), მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით უცხო ენის შერჩევა, გაკვეთილის ლაქონურად აგება, იმ დიდაქტიკური მეთოდების არჩევა, რომელიც ხელს უწყობს ტექსტის გაგება-გააზრებას და განაპირობებს საკომუნიკაციო სიტუაციების შექმნას.

ვინაიდან უცხო ენის მასწავლებელმა კარგად იცის, რომ იქ, სადაც ხდება ტექსტის გაგება-გააზრება „*Värständigung*“, ანუ მკითხველსა და ტექსტს შორის იქმნება ის ურთიერთობა, როდესაც მათ ესმით ერთმანეთის, წყდება თარგმნითი პროცესი და იწყება მეტყველება. „*Dort, wo Värständigung ist, wird nicht übersetzt sondern gesprochen*“ – ამბობს ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ჰანს გეორგ ვადამერი თავის ნაშრომში „*Wahrheit und Methode*“ ამით იგი ხაზს უსვამს გაგებისა და მეტყველების ურთიერთგადაკვეთის მომენტს. სწორედ გაგება-მეტყველებასთან დაკავშირებული სასწავლო პროცესების ხელშეწყობას და სრულყოფას ემსახურება ჩემი დიდაქტიკურ-მეთოდური კონცეფცია. იგი უცხოური /გერმანული/ ლიტერატურის გაკვეთილზე შედარების მეთოდის გამოყენებას ეყრდნობა და მის მრავალი კუთხით გაფართოებას გულისხმობს.

ამ მეთოდის სასწავლო პროცესში შემოტანით ხდება ძველისა და ახლის, შენთვის უკვე კარგად ნაცნობი, საკუთარ თავთან გაიგივებული მასალის შედარება უცხოთა და უცხოთთან. ეს კი თანამედროვე დიდაქტიკის, ახალი, მრავალპერსპექტიული ხედვაა. შევეცდები, უცხოური ენის ლიტერატურის სწავლების საწყისი საფეხურისათვის განკუთვნილი ის კონკრეტული მაგალითი განვიხილო, რომელიც გზას უკავავს ამ მეთოდს.

პირველი მაგალითი
თემა: ვილჰელმ ბუშის ლექსი „Tierisch-literarisch“ (Wilhelm Busch: Tierisch-literarisch. In Göttinger Tageblatt. 26.09.2006)

Sie war ein Blümlein hübsch und fein
Hell aufgeblüht im Sonnenschein.
Er war ein junger Schmetterling,
Der selig an der Blume hing.
Oft kam ein Bienlein mit Gebrumm
Und nascht und säuselt da herum.
Oft kroch ein Käfer kribbelkrab
Am hübschen Blümlein auf und ab.
Ach Gott, wie das dem Schmetterling
So schmerzlich durch die Seele ging.
Doch was am meisten ihn ensetzt,
Das Allerschlimmste kam zuletzt
Ein alter Esel fraß die ganze
Von ihm so heiß geliebte Pflanze.

ეს მცირე ზომის ლექსი მოხდენილად აღწერს გვიან გაზაფხულის ფონზე ცხოველის, მცენარისა და მწერების ჩვეულებრივ ყოფით დღეს. ლექსში ოსტატურადაა გამოყენებული პერსონიფიკირების მომენტი, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს, ლექსში გამოხატული აზრი ადამიანთა ურთიერთობებს დაუკავშიროს. ამ მხრივ, გარკვეული დიდაქტიკური ღირებულების მატარებელია.

გადავავლოთ თვალი, თუ როგორ ახსნიდა ამ ლექსს უცხო ენის მასწავლებელი ძველი სასწავლო გეგმის მიხედვით. იგი აუცილებელ პირობად ჩათვლიდა ლექსის ავტორზე საუბრით გაკვეთილის დაწყებას. მიაზვდიდა მოსწავლეებს მნიშვნელოვან ბიოგრაფიულ მონაცემებს. ასახსნელ მასალას ჯერ თვითონ წაიკითხავდა და მერე მოსწავლეებს წააკითხებდა. დასვამდა საერთო შეკითხვებს ტექსტის ირგვლივ, ახსნიდა უცხო სიტყვებს, ავარჯიშებდა მოსწავლეებს ახალ სიტყვებზე და გადაათარგმნიებდა ტექსტს.

საშინაო დავალებად მისცემდა უცნობ სიტყვებზე წინადადებების აგებას და ლექსის ზეპირად სწავლებით შემოიფარგლებოდა.

თითოეული ეს ელემენტი აუცილებელი შემადგენელი ქვაკუთხედი იყო უცხო ენის ლიტერატურის გაკვეთილისათვის, მაგრამ არა ასეთი თანმიმდევრობით.

გაკვეთილის შესავალ ნაწილში /Einstieg/ ხდება მოსწავლეების მომზადება ლიტერატურულ მასალასთან შესახვედრად. მასწავლებელი ქმნის გარემოს იმ ნასწავლი მასალის გააქტიურებისათვის, რომელიც პირდაპირ კავშირშია ლიტერატურულ ტექსტთან. ჩვენს მაგალითში მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს წელიწადის დროების გამეორებით, ყურადღება გადააქვს გაზაფხულზე და ამ თემასთან დაკავშირებით ადგენს ასოციოგრამას /Assoziogramm/ დაფაზე. იწყება მოსწავლეთა ასოციაციების დაკავშირება ნასწავლ მასალასთან. მათ მიერ კომბინაციებისა და კონტექსტების აღმოჩენა.

Die Frühlingszeit beginnt im März
Die Frühlingssonne Scheint
Es ist warm
Die Natur erwacht
Die Bäume werden grün
Die Frühlingsblumen blühen

Der Frühling

Die Schmetterlinge flattern von einer Blume zur andern
Die Bienen summen
Die Käfer kriechen an den Bäumen auf und ab
Die Vögel singen
Die Lerchen trillern
Die Schwalben zwitschern

ასოციოგრამის შედგენის დროს მასწავლებელს იმთავითვე შეუძლია უკვე, დასახელებული მაგალითების გვერდით, მოსწავლეებს ის უცნობი ვარიანტიც შესთავაზოს, რომელიც მსგავსი შინაარსის მატარებელია და ახალი სასწავლო მასალიდანაა აღებული. მაგალითად, თუ მოსწავლე ამბობს: „*Die Biene summt*“ ან „*brummt herum*“, მაშინ აქვე თამამად შეიძლება დასახელდეს შესასწავლი გამოთქმა ახალი ტექსტიდან: „*Die Biene kommt mit Gebrumm*“. ფუნქციონირებს კონტექსტში მასწავლებელს, ასევე, შეუძლია მოიხსენიოს ზნა „*naschen*“. თუ ეს სიტყვა მოსწავლეებისათვის ნაცნობი გამოდგება, მაშინ რეაქციაც ადეკვატური იქნება, თუ არადა, ამ სიტყვის მნიშვნელობა „სმუხუნა“, „პირის ჩატკარუნება“ იმდენად ახლოს დგას ბავშვთა სამყაროსთან, რომ მისი დამახსოვრება სირთულეს არ შექმნის, მით უმეტეს ისეთი მაგალითის მოყვანით, როგორცაა: „*Die Kinder naschen gern. Sie haben schon Schokolade genascht*“. გაკვეთილის შესავალ ნაწილში ასოციოგრამის ამ კუთხითაც გამოყენება მიზანშეწონილია იმდენად, რამდენადაც ახალი სიტყვების ახსნა აქ მოსწავლეების მიერ დასახელებულ ნასწავლ მასალასთან კონტექსტის ხარჯზე ხდება და ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სინონიმური დამოკიდებულება ნასწავლ და სასწავლ სიტყვებს შორის. სიფრთხილ აქ აუცილებელია, რათა არ მოხდეს ბავშვების გადატვირთვა და მათში ინტერესის იმ მუხტის განვლება, რომელიც მოსწავლეებს უჩნდებათ ასოციოგრამის შედგენის დროს, როდესაც ისინი დამახსოვრება სირთულეს არ შექმნიან, რაც შეიძლება მეტი საკუთარი კომბინაცია მიანოდონ მასწავლებელს. დაბოლოს, მასწავლებლის პედაგოგიურ ალოზზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ოსტატურად შეძლებს ასეთი მომენტების ეფექტურად გამოყენებას ახალი სიტყვების ასახსნელად.

ეს ის პირველი ნაბიჯებია, რომლითაც ტექსტთან დაახლოების წინაპირობა იქმნება. მეორე ნაბიჯი ითვალისწინებს გაზაფხულის მიმართ მოსწავლეთა ასოციაციების გამოხატვას უკვე სურათის ენით.

ხატვის პროცესი ან კომპიუტერის საშუალებით ამ დავალების შესრულება მოსწავლეებისთვის სასიამოვნო საქმიანობაა იმდენად, რამდენადაც ეს მათ სიძნელებს არ უქმნის. ისინი ინტერესით აკეთებენ იმას, რაც მათ შესაძლებლობის ფარგლებს არ სცილდება. ამდენად „მუშაობა“, ანუ სწავლა აქ სასიამოვნო პროცესად აღიქმება.

ბოლოს ხდება დახატული სურათების აღწერა და ერთმანეთთან შედარება. ეს მოსწავლეთა ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებს, ვინაიდან მათ ყოველთვის აქვთ სურვილი, ისაუბრონ იმაზე, რაც მათ მიერაა გაკეთებული (აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ ახალი სიტყვების გამოყენებას, რომლებიც პირველად აუღერდნენ ასოციოგრამის შედგენის დროს). ამით გაკვეთილის შესავალი ნაწილი მთავრდება და ისმება კითხვა:

რას მივალნივთ?
შედეგი – Ergebnis: მოსწავლეებს უჩნდებათ ინტერესი და მუშაობის სურვილი. ეს განმუხტავს დაძაბულობას გაკვეთილზე და ცოცხალ, ბუნებრივ სასაუბრო ატმოსფეროს ქმნის.

ტექსტთან შეხვედრა – Begegnung mit dem Text

ეს ფაზა, ძირითადად, იმ ელემენტებისაგან შედგება, რომელიც მისაღებია, აგრეთვე, ძველი სწავლების მეთოდებისათვის: ტექსტის წაკითხვა, კითხვების დასმა ტექსტის ირგვლივ, ახალი სიტყვების ახსნა და მათზე ვარჯიში. დღესდღეობით, განსხვავებით ძველისაგან, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ჩუმ კითხვაზე – *stilles Lesen*. ამ დროს მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა, ყურადღება მიაქციოს მოკლე და გრძელ წინადადებებს, ხაზი გაუსვას უცნობ სიტყვებს, მოინიშნოს მნიშვნელოვანი ადგილები და გააკეთოს დასკვნები.

საუბარი ტექსტზე – Textbesprechung

იმის გამოსავლენად, თუ რა დონეზე გაიგეს მოსწავლეებმა წაკითხული მასალა, ისმება შემდეგი სახის კითხვები:

- კითხვები, რომლებიც განსაზღვრავენ (ჩვენს მაგალითზე) ლექსის ირგვლივ ზოგადი ინფორმაციის მოპოვებას:

Wie heißt das Gedicht?
Worum geht es im Gedicht?
Wie viel handelnde Personen gibt es im Gedicht?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მოსწავლეები ლექსს გლობალურად კითხულობენ /Globales Lesen/.

- კითხვა, რომელიც უზრუნველყოფს ლექსში მოცემული კონკრეტული ინფორმაციის მოპოვებას.

Was war besonders schmerzhaft für den Schmetterling?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოსწავლეები ლექსს სელექტურად კითხულობენ /Selektives Lesen/.

- კითხვა, რომელიც განსაზღვრავს ლექსში მოყვანილი მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის მოპოვებას.

ათორიკა

Was ist die Hauptsache und was Nebensache im Gedicht?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მოსწავლეები ლექსს საორიენტაციოდ კითხულობენ /Orientierendes Lesen/.

სასწავლო მასალაზე მუშაობის შემდეგი საფეხურია ლექსის დანაწევრება და მისი ნაწილ-ნაწილ ნაკითხვა /Detailliertes Lesen/.

ამ ეტაპზე ხდება უცნობი სიტყვების ახსნა და ნაკითხულის სიღრმისეული გააზრება. ახალი სიტყვების ახსნა არ გულისხმობს მათ პირდაპირ მშობლიურ ენაზე თარგმანს. პირდაპირი თარგმანი უცნობი სიტყვის მნიშვნელობის გაგების ბოლო შესაძლებლობაა. ძალისხმევაა საჭირო სიტყვის კონტექსტში გაგებისათვის. მაგალითად, ლექსში მოცემულია სიტყვა „kribbelkrab“. მისი ახსნისთვის ორი ზმნის „kribbeln“ და „krabbeln“ განმარტებაა საჭირო. მათი მნიშვნელობა გასაგები გახდება მოსწავლეებისათვის, თუ: 1. მოვიყვანთ მარტივ მაგალითს: „Die Wolle kribbelt auf der Haut“ და „die Wolle krabbeln mich“ და 2. სათანადო მიმოიხილო და უცნობი გამოყენებით ხაზს გავუსვამთ ზმნების მნიშვნელობას. ამ გზით უკვე სიტყვის „kribbelkrab“ – „გამაღიზიანებლად“ გაგება ლექსში მოცემულ კონტექსტში შესაძლებელია.

„უცნობი სიტყვების ახსნა – განმარტების ეს ფორმა მეტად ნაყოფიერი და ეფექტურია. მნიშვნელოვნად აფართოებს მოსწავლეთა სიტყვათა მარაგს.

რაც შეეხება ნაკითხულის სიღრმისეულ გააზრებას, აქ მთავარ ამოცანას წარმოადგენს, მიეცეთ მოსწავლეებს თავიანთი ფანტაზიის გამოვლენის საშუალება.

ამისათვის მიზანშეწონილია:

- 1. ლექსის რამდენიმე, მაგალითად, მე-4 – „Der selig an der Blume hing“ და მე-9 – „So schmerzlich durch die Seele ging“ – პნკარის შემდეგ განყვეტა და მოსწავლეების მიერ თხრობის გაგრძელება.
- 2. ლექსის დასრულებისთვის სხვა ვარიანტის შერჩევა.
- 3. პრობლემატური შეკითხვის დასმა.

Zum Beispiel: Wie hätte sich ein Mensch (ein Mann, eine Frau, ein Mädchen, ein Junge) an der Stelle des alten Esels verhalten?/ამ სამუშაოს შესასრულებლად შესაძლებელია წვეტილებად ან ჯგუფური სახის მუშაობა.

სასწავლო მასალასთან მიდგომის ასეთი ფორმა ნაყოფის მომტანია იმდენად, რამდენადაც ლექსი, რომელიც მკითხველისათვის შეიქმნა, იჭრება მოსწავლის ცნობიერებაში თავისი იმპულსებითა და კორექტივებით. მოსწავლეს, თავის მხრივ, ანალოგიურად იქცევა, ანუ ხდება ლექსის თითოეული მოსწავლისაგან განსხვავებული რეაქცია (წარმოსახვითი თანაშემოქმედება). იკვეთება ისეთი ტენდენციები, ემოციურ-აზრობრივი სიგნალები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში პასიურად მოცემული ან ჩამქრალი შემოქმედებითი კერების განვითარებას (სოსო სიგუა, მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა, „მწერლის გაზეით“ თბილისი, 2007 წ., გვ. 223-242).

ტექსტის შედარება – Textvergleich

ამ საფეხურზე ხდება მოსწავლეების მიერ დახატული სურათების ტექსტთან შედარება, რომლის დროსაც იკვეთება ნაკითხვის თავისებური ფორმა – textvergleichendes Lesen. თავისებურებას განსაზღვრავს ის, რომ, ამ შემთხვევაში, ვიზუალურად დანახულის შედარება ხდება ავტორის მიერ შექმნილ ლექსთან, რომელიც მისი შეგრძნებების, ემოციებისა და დაკვირვებების სიტყვებად კონსტრუირებულია. მოსწავლისათვის კი ეს ნიშნავს სურათის, ანუ საკუთარი თვალით დანახულისა და განცდილის შედარებას მისთვის უცნობ სასწავლო მასალასთან, მათ შორის საერთოსა და განმასხვავებლის აღმოჩენას, რაც უცხო ენის გაკეთილზე საკომუნიკაციო ვარიანტების შექმნისა და გაფართოების გარანტიაა.

ამრიგად, ადარებს რა თავის სურათებს ლექსს, მოსწავლე ადგენს:

- მის მიერ გაზაფხული ფონზე დახატული ჭრელი ყვავილები, პეპლები, ფუტკრები და მზე ლექსშიც პოულობს ასახვას, მაგრამ აქ მათ სხვა დატვირთვა და დინამიურობა აქვთ, მაგალითად, დამოკიდებულება ყვავილსა და პეპელს შორის (ე.ი. განრდა ახალი აზრი /Produktives Denken/, რაც შედარებითი მეთოდის კოგნიტური განზომილებაა /Die kognitive Dimension der vergleichenden Methode/).

- იგი ამჩნევს, რომ სახედრის მოქმედება, გამომდინარე მისი ცხოველური ინსტიქტიდან, აბსოლუტურად ბუნებრივია, მაგრამ გადატანითი მნიშვნელობით ის ხედვის სხვა პერსპექტივასაც იძლევა (ჩნდება აზრის განვითარების სხვა მიმართულება/Produktives Denken – Die kognitive Dimension der vergleichenden Methode/).

მოსწავლეს უკვე შეუძლია, მიღებული ცოდნის საფუძველზე, განმარტოს, თუ როგორ ესმის მას ლექსის სათაური „Tierisch-literarisch“ და რა შეიცვლებოდა, თუ სათაურიდან ამოვიღებდით სიტყვას „Tierisch“ (ე.ი. წინა პლანზე გამოდის ემოციური მომენტი, ქრება შიში და მოსწავლეს უჩნდება სითამამე თავისი აზრებისა და დამოკიდებულებების გამოსახატავად /Die emotionale Dimension der vergleichende Methode/). ეს კი სწორად შერჩეული სასწავლო ლიტერატურის მნიშვნელოვანი დიდაქტიკური ღირებულებაა, რომლის გამოყენება უცხოური ენის სწავლების შესაფერის ეტაპზე ხელს უწყობს ლიტერატურული აზროვნების საწყისების ჩამოყალიბებას და უცხოურ ენაზე მეტყველების განვითარებას.

შედეგი – Ergebnis

ადარებს რა თავის მიერ შექმნილ სურათს სასწავლო ლექსს, მოსწავლე მიდის იმ დასკვნამდე, რომ ლექსში გატარებულ აზრსა და ცხოვრების რეალურ სამყაროს შორის კავშირი არსებობს (ალანონიშავია, რომ ამას აღწევს თვითონ, ყოველგვარი ზენოლის გარეშე, შედარებისა და დაკვირვებების საფუძველზე. სწავლის პროცესში ჭარბად ჩართული მცდელობების, მოსინჯვების, დისკუსიების მომენტები, ბუნებრივია, ხელს უწყობს დამოუკიდებლად სწავლას /Die didaktische Dimension der vergleichende Methode/).

არავის დაუნერია, რომ მცირე ზომის ლექსებს ნაკლები მიმზიდველობა აქვთ. ამ ლექსის მთელი მიმზიდველობა სწორედ იმაშია, რომ აქ გამოხატული გრძნობები დროის ფაქტორს არ ემორჩილება. ისინი მოსწავლეთა კოგნიტისათვის არა მარტო ადვილად აღსაქმელნი, არამედ მათი უცხო ენაზე ამეტყველების გარანტიც არიან.

საშინაო დავალება – Hausaufgabe

მასწავლებელი მოსწავლეებს საშინაო დავალებად ლექსის მოთხრობის სახით გადმოცემას აძლევს. ასეთივე წარმატებით შეუძლია მას, მოითხოვოს მოსწავლეებისაგან ლექსის მთლიანად ან მათ მიერ შერჩეული ადგილების ზეპირად ცოდნა. იმედია, ამ ეტაპზე ეს მოსწავლეებში უკმაყოფილებისა და იძულების შეგრძნებას უკვე აღარ გამოიწვევს.

დასკვნა – Zusammenfassung

ჩემ მიერ წარმოდგენილი გაკვეთილის მოდელი უცხო ენისა და ლიტერატურის სწავლების ელემენტებს მოიცავს. ამიტომაც გათვლილია უცხო ენის ლიტერატურის სწავლების საწყისი ეტაპისათვის. ეს მოდელი დანერგვით ასახავს გაკვეთილზე შედარების მეთოდის გამოყენების უზირატესობას. კონკრეტული მაგალითის ფონზე, ახდენს ამ მეთოდის კოგნიტური, ემოციური და დიდაქტიკური მნიშვნელობის გაანალიზებას, პირდაპირ მიაჩნებს მისგან გამომდინარე იმ პრაქტიკულ შედეგებზე, როგორცაა:

- მოსწავლეთა სიტყვიერი მარაგის გამდიდრება.
- ნასწავლი სამეტყველო მასალის გააქტიურება.
- სასწავლო პროცესის ერთი ფაზიდან (მასალის ვიზუალური აღქმის) მეორე (ლიტერატურული ნაწარმოების აზრობრივი აღქმის) ფაზაში გადასვლა.

ბუნებრივია, შეიძლება უფრო ფართოდ ყოფილიყო წარმოდგენილი თანამედროვე მედიის ჩართვა სასწავლო პროცესში, მაგრამ, ვითვალისწინებ რა ჩვენი ქვეყნის რეალურ სიტუაციას, თავს ვარიდებ ამ საკითხს და ვისაზღვრები მხოლოდ იმით, რისი განხორციელებაც ნებისმიერ უცხოენოვან ლიტერატურის გაკვეთილზე შესაძლებელია.

მამული ქარხამა

გერმანისტი

თვალსაზრისი

„პროფესიული მომზადება დასაქმებისათვის“

ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობისაკენ

2007 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომლის შედეგადაც არსებითად შეიცვალა არსებული პროფესიული განათლების სისტემა, შესაბამისად – სასწავლო დაწესებულების სტრუქტურა. არსებობდა დანყებითი პროფესიული სასწავლებლები, პროფესიული ტექნიკური სასწავლებლები, საშუალო პროფესიული სასწავლებლები (ტექნიკუმები, კოლეჯები) და უმაღლესი სასწავლებლები. „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის შედეგად გაიმიჯნა პროფესიული სწავლება და ზოგადი განათლება, კონკრეტულად – პროფესიული სასწავლებლები და საშუალო პროფესიული სასწავლებლების სასწავლო გეგმებიდან ამოღებულ იქნა ზოგადი განათლების საგნები, რომლებიც კურსდამთავრებულებს აძლევდა უფლებას, სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში გაეგრძელებინათ და მათ მხოლოდ პროფესიული განათლების კომპონენტი შეინარჩუნეს. გაერთიანდა საშუალო და დანყებითი პროფესიული სასწავლებლები და შეიქმნა ერთი ტიპის სასწავლებელი, რომელსაც ეწოდა პროფესიული სწავლება ცენტრი. შესაბამისად, განხორციელდა საორგანიზაციო ღონისძიებანი, განთავისუფლდნენ სამსახურიდან ზოგადსაგანმანათლებლო საგნების პედაგოგები, მოხდა სასწავლებლების ოპტიმიზაცია – 200-მდე პროფესიული სასწავლებელი და 40-მდე ტექნიკური შეერთდა, ოთხი და მეტი სასწავლებლიდან შეიქმნა 39 პროფესიული სწავლების ცენტრი, დღეს – 38. ყოველივე ამის განხორციელება საკმაოდ მტკივნეული იყო როგორც განათლების სამინისტროსთვის, ასევე ამ სფეროში დასაქმებული პედაგოგური კოლექტივებისთვისაც (ძალიან დიდმა ნაწილმა სამსახური დაკარგა) და ყველაფერი ეს მართლდებოდა განათლების რეფორმის ორგანიზატორთა განმარტებით: „ყველას თავის საქმე უნდა ეკეთებინა, საშუალო სკოლას ზოგადი განათლება უნდა მიეცა, პროფესიული სწავლების ცენტრებს – პროფესია“.

საზოგადოების იმ ნაწილმა, ვინც დაინტერესებული იყო აღნიშნული პრობლემებით, ცუდად თუ კარგად, ეს პრობლემა გადაიტანა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი უნდა იყოს დაინტერესებული ამ საყოველთაო პრობლემით. ამის დასადასტურებლად გეტყვი, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა მხოლოდ 5% აგრძელებს სწავლას უმაღლესი განათლების აკადემიურ პროგრამებზე, ცოტა მეტი – უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე, ხოლო დანარჩენი კონტინგენტისთვის, ნებით თუ უნებლიეთ, ინტერესის სფეროს უნდა წარმოადგენდეს სახელობო განათლება. ამ დროს დაბალია საზოგადოების ინტერესი აღნიშნული პრობლემისადმი.

დღეს, როდესაც განათლების სამინისტრომ სამსჯელოდ გამოიტანა სახელობო განათლების და მომზადების განვითარების შუალედური სტრატეგია – 2009-2012 წლები, გარდა ამ სფეროში დასაქმებული სპეციალისტებისა, ინტერესი არავის გამოუჩენია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საზოგადოებისათვის ხელმძღვანელობელია აღნიშნული სტრატეგია.

ამდენად, ამ საგაზეთო პუბლიკაციით სურვილი გვაქვს, საზოგადოების ყურადღება გავამახვილოთ სტრატეგიაში დაგეგმილ ორ ღონისძიებაზე.

პირველი – ეს გახლავთ ამოცანა №1 – სახელობო განათლებასა და მომზადებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და პროფესიული განვითარების ხელმისაწვდომობა. პრიორიტეტული მიმართულება: სახელობო განათლებაში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრის გზების ძიება და შესაბამისი მექანიზმების დანერგვა.

ავტორების აზრით, ჩიხად არის მიჩნეული ისეთი შემთხვევა, როდესაც პროფესიული სწავლების ცენტრში სახელობო სპეციალისტის დასაუფლებლად მოდის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლე, რომელსაც არასრული ზოგადი განათლება აქვს. მაგალითად, დამთავრა 9 კლასი, მიიღო არასრული ზოგადი განათლების ატესტატი და გადაწყვიტა, დაეუფლოს მზარეულის პროფესიას. მიიღო მზარეულის პროფესია და მერე გადაწყვიტა, გახდეს იურისტი. ამ შემთხვევაში, უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად უნდა ჩააბაროს ეროვნული გამოცდები და ის არ იქნება დაშვებული ეროვნულ გამოცდებზე, ვინაიდან არ აქვს სრული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ატესტატი. აღნიშნული სიტუაცია გახლავთ ჩიხი, ვინაიდან ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს უმაღლესი განათლება.

პრობლემის ჩიხად მიჩნევის ავტორებს მიაჩნიათ, რომ სახელობო განათლება ხელს უშლის პიროვნებას, მიიღოს უმაღლესი განათლება. ხელს უშლის და არ უქრძალავს, მაგრამ მხოლოდ იმით, ვინც სახელობო განათლების მიღება სრული საშუალო განათლების მიღებამდე გადაწყვიტა. მათ, ვინც 9 კლასის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტა დაეუფლოს სახელობო პროფესიას, უნდა იცოდნენ, რომ უმაღლესი განათლების მისაღებად მოუწევთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სრული კურსის დასრულება ან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ატესტატის ექსტერნად მოპოვება. ვფიქრობ, განსახილველი სტრატეგიის ავტორთა მცდელობა პროფესიული სწავლების ცენტრებში ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების შეტანისა სასწავლო პროგრამებში უკანგადადგმული ნაბიჯი იქნება, რაც მკვეთრად გააუარესებს პროფესიული მომზადების ხარისხს. და, რაც მთავარია, მაშინ რატომ ვა-

უქმებდით არსებულ საშუალო პროფესიულ განათლებას? ეს ხომ სულ ერთი წლის წინ მოხდა?! პირადად მე, ზემოთ მოხსენებულ მიზეზთა გამო, დღეს არსებული სიტუაცია ჩიხად არ მიმაჩნია, მაგრამ თუკი სურვილი გვაქვს, დავეხმაროთ მომავალ აბიტურიენტებს, უფლება უნდა მივცეთ, ეროვნული გამოცდები ჩააბარონ 9 კლასის ატესტატისა და სახელობო სერტიფიკატის საფუძველზე, 9 კლასის ატესტატის მიღებიდან სამი წლის შემდეგ. საერთოდ, უკეთესი იქნება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეტი ყურადღება დაეთმოს პროფესიულ ორიენტაციას, რაც ხელს შეუწყობს პროფესიის სწორ არჩევანს და კარიერის სწორად დაგეგმვას.

მეორე პრობლემა, რომელიც სახელობო განათლებისა და მომზადების განვითარების შუალედური სტრატეგიის სამოქმედო გეგმაშია გათვალისწინებული, გახლავთ უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სახელობო პროგრამების სტიმულირება. 1.2.3. ამ ღონისძიებით სახელობო მომზადება უნდა განხორციელდეს უმაღლეს და ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში, რათა სახელობო განათლება ხელმისაწვდომი იყოს.

ძნელია წარმოიდგინო, როგორ აპირებდნენ საშუალო სკოლაში სახელობო განათლების უზრუნველყოფას იმ დროს, როდესაც არსებულ 38 პროფესიული სწავლების ცენტრში საკმაოდ მაღალი ბიუჯეტითა და სასწავლო მატერიალური ბაზით, 13 საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის დახმარებით მიუხედავად, სახელობო განათლების დღევანდელი გამოწვევები – 18 მწვავე პრობლემაა განზოგადებული, სტრატეგიის ავტორთა აზრით. მე მათ რიცხვს კიდევ რამდენიმეს დავუმატებდი, რომელთა შესახებაც შემდგომ სტატიაში ვისაუბრებ. სკოლას, რომელსაც თავისი გამოკვეთილი ფუნქცია აქვს, კიდევ უფრო სახელობო მომზადების ფუნქციასაც აკვიდებთ (არარსებული სასწავლო მატერიალური ბაზის პირობებში), ისედაც დისკრედიტებულ სახელობო განათლებას საბოლოოდ გაეანადგურებთ. და მაინც, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისა და პროფესიული სასწავლებლის შერწყმა გეინდოდა, ერთი წლის წინ რატომ გავმიჯნეთ მათი ფუნქციები? პროფესიული განათლების რეფორმის ძირითადი პრინციპი ხომ „ყველამ თავისი საქმე აკეთოს“ არის.

ამ სტატიით გვინდა, საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ პროფესიული განათლების გამოწვევებზე ჩვენს ქვეყანაში. იმედს გამოვთქვამ, რომ „ახალი განათლების“ მკითხველი გამოგვეხმაურება, რაც საშუალებას მოგვცემს, ვიმსჯელოთ ამ საყოველთაო პრობლემაზე.

ჟურნალ გარნიკელისი

პოპულარული ნაშრომი დიდ ქართველ მოღვაწეზე

გამოჩენილი ისტორიული პიროვნებანი ოდენ წარსულის კუთვნილება როდი არიან, მათი ხსოვნა და ღვაწლის გათვალისწინება ძალზე აქტუალური შემდგომშიც. ისინი მიბაძვის საგანს წარმოადგენენ. ეს მით უმეტეს ითქმის დღევანდელი საქართველოს მიმართ, სადაც კერძოდ ზნეობრივი ფასეულობანი მნიშვნელოვანწილად დევალვირებულია.

ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი დიდი გამოჩენილი გმირთაგანი ვახტანგ დიმიტრი ყიფიანი, რომლის ღვაწლისა და მნიშვნელობის გაგება-წარმოჩენა საბჭოური იდეოლოგიის თვალთახედვით გაძნელებული იყო. მიუხედავად ამისა, 1936 წელს მაინც გამოქვეყნდა ისტორიკოს სიმონ ხუნდაძის მონოგრაფია დიდი ქართველის შესახებ. ამით ყოფილმა სოციალ-ფედერალისტმა (შემდგომ გაკომუნისტებულმა) გააგრძელა არჩილ ჯორჯაძის სული ტრადიცია დიმიტრი ყიფიანის გაგება-გააზრებისა. იოსებ უთურაშვილისა და თამაზ ჯოლოგუას შესაბამისი წიგნები კი გამოქვეყნდა საბჭოური ნესყობილების დაიხის ჟამსა და გადაგებისას. მაგრამ დღემდე არ გვქონია პოპულარული ხასიათის წიგნი, რომელშიც წარმოჩენილი იქნებოდა „ახალი დიმიტრი თავდადებულის“ პიროვნება და ღვაწლი. ჩვენი ისტორიული მესხიერების ამ ხარვეზის შევსების ცდაა ფილოლოგოს – მკვლევარ მურად მთვარელიძის ნაშრომი „ყიფიანები“, რომელიც გასულ წელს დაბეჭდა გამომცემლობა „ცის ნამა“.

ავტორს მიზნად არ დაუსახავს ჩვეულებრივი გენეალოგიური წიგნის დაწერა საერთოდ ყიფიანთა საგვარეულოს შესახებ. მისეული თხრობის ცენტრალური საკითხი ვახტანგის „ყიფიანთა გვარის გვირგვინი და სიამაყე“ (გვ. 153) დიმიტრი ყიფიანი და მისი უშუალო შთამომავლობა. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს: „თუ დიდ მოღვაწეს შვილიც ღირსეული არ გამოუვიდა, მაშინ მისი ნამოღვაწეები ისე ვერ წარმოჩნდება, ისე ვერ დამშვენდება და ისეთ ზეგავლენას ვერ იქონიებს საზოგადოებაზე, როგორც მაშინ, როცა კარგი შვილი თავის დიდ მშობელს თავისი კორსეული მამულიშვილობით კიდევ უფრო აამაღლებს და განასპეტაკებს ხალხის ხსოვნაში“ (გვ. 63). დიმიტრი ყიფიანს ამ მხრივ ბედმა ნამდვილად „გაუღიმა“: მისი შვილები და შვილიშვილები საკმაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები და გულმზურავი მამულიშვილები იყვნენ. ამას ემატება დიმიტრის ძმისშვილები, განსაკუთრებით უფროსი ძმის – ქაიხოსროს მხრიდან.

კერძოდ დიმიტრი ყიფიანის ძმისშვილ ეფროსინე ქაიხოსროს ასულ ყიფიან-კლდიაშვილისაზე საუბრისას მურად მთვარელიძე წერს: „ასეთი ენთუზიასტი ადამიანები ქმნიან ისტორიას. ასეთების მხრებზე გადადის ის ეროვნული ტერიტორია, რომლის სიმძიმეც გარკვეულ ტანჯვასთან ერთად სასიამოვნოცაა. ასეთი ადამიანების სულიერი გამოწამლვა კვებავს ერის ეროვნულ თვითშეფასებას, აძლევს დიდ ენერჯის, რომლის წყალობითაც ერთი თაობა მეორეს შთამომავლობით გადასცემს ერთგულებას, ზეარაკად შენორვის, სათნოებისა და შემართების არაჩვეულებრივ მაგალითებს“ (გვ. 100). დიმიტრის ბედმა ამ მხრივაც უწყალობა და აღნიშნული პიროვნების გარდა სწორედ ასეთები გახლდნენ დავით, მიხეილ (მიმო), სვიმონ, მარიამ (მაშო) ყიფიანები, რძალი (კოტეს მეუღლე) ნინო ტატიშვილი-ყიფიანისა, რომელთა თაობაზეც წიგნში ცალ-ცალკეა მოთხრობილი.

საშუალო მოცულობის ნაშრომში, ცხადია, ავტორი ვერ შეძლებდა საკმაოდ ფართოდ წარმოეჩინა დიმიტრი ყიფიანის ღვაწლი. ამას იგი ზოგადად აკეთებს. საბაგიეროდ, მურად მთვარელიძე ვრცელად მოგვითხრობს (გვ. 153-182) ზნეობის დიდ გაკვეთილებზე, ჩვენმა დიდმა წინაპარმა რომ მოგვცა. წიგნში ლაპარაკია ასეთი თერთმეტი გაკვეთილის შესახებ. ვიმეორებთ, ზნეობრივ პიროვნებებზე ისინი დიდ, ღრმა შთაბეჭდილებას ახდენენ და სათანადოდ განაწყობენ. თუმცა, დიმიტრი ყიფიანი მონარქისტი იყო და მას, ძირითადად, სწამდა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებისა (ადგილობრივი, კავკასიური ბიუროკრატის გამოკლებით), თვითონ გახლდათ რუსული ბიუროკრატის წარმომადგენელი კავკასიაში, მაგრამ, ჯერ ერთი, იგი ყოველთვის ინარჩუნებდა ღირსების გრძობა-შეგნებას, არ ეპუებოდა რა მასზე მაღლა რანგი მდგომ პირებს და მეორე, ამით იგი ცდილობდა უპირველესად მომსახურებოდა თავის საყვარელ ქვეყანას, ხალხს. ხოლო როდესაც იგი აღმოჩნდა უაღრესად რთულ, კრიტიკულ სიტუაციაში, არჩევანი სწორედ უკანასკნელის მხარეს გააკეთა. ამ ამბავს, რასაკვირველია, უბრალოდ არ ჩაუვლია და მას მოჰყვა დიმიტრის ტრაგიკული აღსასრული. დიდმა ქართველმა „თავისი მონამებრივი სიკვდილი XIX საუკუნის და მომავლის საქართველოს თავდადების სწორუბოვარი მაგალითი უჩვენა“ (გვ. 188). ამ ტრაგიკული აღსასრულის აპოთეოზს წარმოადგენს ავტორისეული სიტყვები: „როცა ერთი პიროვნების სიკვდილი ერის სულიერ გამოღვიძებას და ეროვნული ცნობიერების აღმავლობას შეუწყობს ხელს, როცა ადამიანის ამქვეყნიდან წასვლა დასაწყისია მისი მარადიული სიცოცხლისა, ეს სიკვდილი უფრო დიდია, ვიდრე საზოგადოდ სიცოცხლე, ეს სიკვდილი აღმატებულია ადამიანის მოღვაწეობაზეც, ის უკვე ტრაველიდან ამალელებულის საოცარ გზაზე შედგომის ერთგვარი საფეხურია, ანუ ის სიმაღლეა, რომელსაც ერთი საოცარი იმედით შეჰყურებს, როდესაც სიკვდილი კაცის კრავს დიდსა და პატარას და ქვეყნის სიყვარულის ცეცხლით ალაგზნებს“ (გვ. 182-183). დიდებული სიტყვებია და მათში დიდი წინაპრისადმი ავტორის ასევე ამალელებული გრძნობა გამოსჭვივს!

სარეცენზიო წიგნში აქა-იქ გვხვდება შეცდომები და გაუგებრობანი, რომლებზედაც თვალს ვერ დაგვჭავთ. დიდად საეჭვოა, რომ დიმიტრის ეგზარქოს პავლესადმი დეპუტის გაგზავნის (1887 წლის 8 ივნისს) წინა დღეს (ამ დროს იგი მშობლიურ ქვიშხეთში იმყოფებოდა) შეეტყო მისგან ქართველი ერის დაწყების ამბავი (გვ. 14). ფოსტა-ტელეგრაფის ხანაში, რომელიც, საბედნიეროდ, უკვე იდგა მაშინდელ საქართველოში, 26 მაისს მომხდარ ფაქტს მხოლოდ 7 ივნისს ვერ გაიგებდა. ჩანს, ავტორი უკრიტიკოდ იზიარებს ნინო ტატიშვილ-ყიფიანისას შესაბამის ვერსიას.

მე-17 გვერდზე ვკითხულობთ: „დიმიტრი ყიფიანი დაიბადა 1814 წლის 14 აპრილს (ბოლო მონაცემებით 1811 წლის 14 აპრილს“ (რა თქმა უნდა, იგულისხმება ძველი სტილი). მაგრამ, დამეთანხმებით, ამ შემთხვევაში მეტი სიცხადეა საჭირო. არადა, უეჭველია დიმიტრის დაბადების წელი – 1811.

მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი მანდილოსანი, საზოგადო მოღვაწე მანანა ორბელიანი მირმანოზ ორბელიანის ასული როდი

გახლდათ (გვ. 18), არამედ – მირმანოზ ქსნის ერისთავისა, ორბელიანის გვარი კი მისი მეუღლის გვარი იყო.

იაგორ ჭილაშვილს – დიმიტრი ყიფიანს სიცოცხლე მშობლიურ სოფელში როდი დაუმთავრებია, როგორც ეს წიგნის მიხედვით (გვ. 21) შეიძლება დავასკვნათ, არამედ ლე ქორანში, სპეციალური დავალების აღსრულებისას.

მიხაილ ვორონცოვი მთავარმართებელი კი არა (გვ. 38), არამედ მეფისნაცვალი გახლდათ. ეს კი სულაც არ გახლავთ ფორმალური ხასიათის განსხვავება.

53-55-ე გვერდებზე საუბარია ეკატერინე მელიქივილსა და ეკატერინე მესხზე. მკითხველს მოეჩვენება, რომ ამ შემთხვევებში სხვადასხვა პიროვნებები იგულისხმება. სინამდვილეში აქ ნაგულისხმევია ერთი და იგივე პირი – ეკატერინე მელიქივილი-მესხისა (სერგეი მესხის მეუღლე).

64-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ დიმიტრი ყიფიანისეული ქონება დაგირავებული იყო მხოლოდ „დადიანების საქმეების გამო“, მაგრამ 172-175-ე გვერდებზე ეს ძირითადად დაკავშირებულია დიდად ავტორისეული თანა.

95-ე გვერდზე მოტანილია აკაკისეული სიტყვები: „მაშინ როდესაც თუ ამ ერებში ვერა, იმ ერებში მაინც ვხედავთ საზოგადო საქმისთვის თავგამოდებულებს“. ადვილად დაგვეთანხმებით, რომ აქ აშკარა გაუგებრობაა. ჯერ ერთი აკაკისეულ თხზულებათა თხუთმეტომეულში (ტ. XI, გვ. 326) აღნიშნულია: „ამ-ერებში“ და „იმ-ერებში“ და მეორე, აქ ნაგულისხმევია ქართლ-კახეთები და იმერლები (ჩანს, ვინრო, საკუთრივ იმერეთის მოსახლეობის მნიშვნელობით). აქ ვერ შეეჩერდებით აღნიშნული აზრის სისწორე-მართებულობაზე.

ძალიან საეჭვოა, რომ ილია ქვიშხეთში სპეციალურად ჩავიდა ლუარსაბ ყიფიანის (ქაიხოსროს ძის) უფროსი ქალიშვილის – სოფიის ქორწილში ნეფე-დედოფლის დასალოცად (გვ. 114). შეგახსენებთ, რომ ასე სჯეროდა ნინო ტატიშვილ-ყიფიანისასაც. მაგრამ ვინც ილიასეულ ხასიათს გაითვალისწინებს, ის ადვილად გაიგებს, რომ მას იმხანად საბანკო არჩევნებში გამარჯვება (ივანე მაჩაბელზე) ჰქონდა მთავარ მიზნად.

125-ე გვერდზე ფიგურირებს მარიამ ყიფიანის ორი ფოტო. თუმცა, არაა მითითებული, თუ ვინ იყო იგი. ჩვენი აზრით, იგულისხმება ლევან ყიფიანის (ქვიშხეთში მცხოვრების) ქალიშვილი.

126-127-ე გვერდებზე ლაპარაკია მეორე ლევან ყიფიანზე. მაგრამ არ არის აღნიშნული, რომ იგი გახლდათ ვაჟი ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ილიას დასის წარმომადგენლის, დიმიტრის ძმისშვილ (ქაიხოსროს ძე) დავითისა. სამწუხაროდ, მას თანამედროვე



ემში არც თუ კარგი რეპუტაცია ჰქონდა.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ილიას თანამებრძოლი მიხეილ ყიფიანი (1833-1891) თითქოს ქვიშხეთში იყო დაბადებული (გვ. 127). მაგრამ წიგნიდან ვერ ვგებულობთ, თუ რომელ ქვიშხეთელ ყიფიანს უკავშირდებოდა იგი. ჩვენი შეხედულებით, სწორია „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიის“ X ტომში (გვ. 655) მოტანილი ცნობა, რომლის თანახმადაც აღნიშნული პიროვნება სოფელ ვახანში იყო დაბადებული. იგი გახლდათ ყიფიანთა აქაური შტოს წარმომადგენელი (მამამისი ზაალი და ქორი – დიმიტრის მამა ძმები იყვნენ).

სარეცენზიო წიგნში საუბარია პალიკო ყიფიანის შესახებ (გვ. 145-147), მაგრამ არა ნაჩვენებია, თუ რა ნათესაური კავშირ-ურთობა ჰქონდა მას დიმიტრისთან, საერთოდ ქვიშხეთელ ყიფიანებთან ანდა ყიფიანთა რომელი, სადაური შტოს წარმომადგენელი იყო იგი. ავტორი იზიარებს აკაკი ბაქრაძისეულ თვალსაზრისს, თითქოს პალიკო ყიფიანი ილიას გაეგზავნოს საზღვარგარეთ იარაღის შესაძენად. ეს მოსაზრება ფრიად არადაამაჯერებელი ჩანს. 178-ე გვერდზე იოსებ ლალიაშვილის ცნობილი ტერაქტის თარიღად მითითებულია 2 მაისი, 24-ის ნაცვლად.

წიგნის 188-ე გვერდიდან მკითხველმა შეიძლება ისე იგულისხმოს, თითქოს აკაკის თავისი უმშვენიერესი ლექსი „თანწინა“ დიმიტრის დასაფლავებისას წარმოეთქვას, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ასე არ არის.

დაბოლოს, წიგნში გვხვდება აშკარად კორექტურული ხასიათის შეცდომებიც. მაგალითად, 25-ე გვერდზე აღნიშნულია „ქვიშხეთის წმ. გიორგის ეკლესია“, მაშინ როდესაც უნდა იყოს ქაიხოსროს. არყისა და თუთუნის (უფრო სწორი იქნებოდა – თამბაქოს) აქციების ნაცვლად (გვ. 39), უნდა იყოს აქციები. 112-ე გვერდზე აღნიშნულია გაურკვეველი „გრამატიკის ეტიმოლოგია“. 121-ე გვერდზე სიტყვის „მატერიალისტურად“ ნაცვლად, უნდა იყოს „მატერიალურად“. 130-ე და 149-ე გვერდებზე მითითებულია „ქალაქი კაკაზი“ ვლადიკავკაზის, ქართულად „კაკაჯის“, ნაცვლად.

194-ე გვერდზე მკვლევარ ვლადიმერ ნონელიას გვარ-სახელი მოიხსენიება „წონლა-ვად“.

საბოლოოდ კი დავასკვნით, რომ, მიუხედავად ჩვენ მიერ გამოთქმული შენიშვნებისა, მურად მთვარელიძის წიგნი „ყიფიანები“ დიდად სასარგებლო პოპულარული ხასიათის ნაშრომი და უთუოდ ნაადრევად დიდი ქართველის პოპულარიზაციის საქმეს მკითხველთა ფართო მასაში.

გურამ ყორანაშვილი

„ნახვამდის ზაფხულო“

8 სექტემბერს კუს ტბაზე გრანდიოზული გალა კონცერტი გაიმართა თბილისის მერიის ეგიდით და ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის მხარდაჭერით. კონცერტში მონაწილეობდნენ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „გვირილას“ (სამხატვრო ხელმძღვანელი – ერნა ნიფურია) უმცროსი თაობის სოლისტები, რომლებსაც პარტნიორობას ანსამბლ „ჯეიანის“ და „ლაშარის“ წევრები უწევდნენ. კონცერტის წამყვანებმა – ნუგზარ კვაშალა და ნინო ჩიხლაძემ – მადლობა გადაუხადეს თბილისის მე-

რიას ამ შთაბეჭედავი საღამოს მონაწილეთა და დედაქალაქის ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეების თბილისის საქალაქო ტრანსპორტით უფასოდ უზრუნველყოფისთვის კუს ტბაზე მისასვლელად. ამ კონცერტს მრავლად ესწრებოდნენ დევნილი ბავშვები აფხაზეთიდან და ცხინვალიდან, „გვირილას“ სამხატვრო ხელმძღვანელს – ერნა ნიფურიას საზღვრისპირა რაიონის დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებიც მოეპოვებოდა.

მაყურებლის წინაშე საუკეთესო

რეპერტუარით წარდგინდა „გვირილას“ სოლისტები: ნინო დვალაძე, მარიამ მაჭარაშვილი, ანანო და თამთა დიასამიძეები, გიორგი ლოლობერიძე და სხვ. ახალი სასწავლო წლის დაწყება ბავშვებს სიმღერით მიულოცეს არაერთი კონკურსის პრიზიორმა ტატო გოდერძიშვილმა და ახალგაზრდა მომღერალმა მარიამ ჯღარკავამ, კონცერტში მონაწილეობდა ყველა თაობის საყვარელი მომღერალი ეთერ კაკულია. ანსამბლ „გვირილას“ უმცროსი თაობის მომღერლებმა არაერთი პოპულარული სიმღერა შეასრულეს.

მუსიკის ფონზე, კუს ტბის მომხიბვლელ გარემოში, თავი მართლაც სხვა სამყაროში გეგონებოდათ. აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი ბავშვები ემოციებს ვერ ფარავდნენ. მათ კუს ტბაზე, დედოფლისწყაროელ მოსწავლეებთან ერთად, ნავით ისეირნეს.

თბილისის მერიამ ყველა ბავშვს გემრიელი ნაყინი და ალფურმეტი უმასპინძლა. კონცერტის დასასრულს მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს „გვირილას“ სამხატვრო ხელმძღვანელმა ერნა

ნიფურიამ, აფხაზეთის კულტურის მინისტრმა დალი ხომერიკმა, ილუზიონისტმა გია ფარადაშვილმა, დედოფლისწყაროს პირველი სკოლის დირექტორმა მაია ლაპიაშვილმა. საღამო „ნახვამდის ზაფხულო“ დასრულდა ფიერვერკით და კომპოზიტორ ალექსანდრე ბასილიას მუსიკაზე დაწერილი სიმღერით „არგო“, ანსამბლ „ივერიის“ მიერ დადგმული მიუზიკლიდან „არგონავტები“.

მარიკა კოპიაშვილი

ნარმატიბული პროექტი

სამოქალაქო ეკონომიკის სწავლებასთან დაკავშირებით „ახალ განათლებაში“ ბევრი პედაგოგი წერს. ამ საგნის პროგრამა, უდავოდ, აუცილებელ, ცხოვრებისეულ პრინციპებზე დამყარებულ მასალას შეიცავს.

სამოქალაქო ეკონომიკის გაკვეთილები ხალისიანი და საინტერესოა. თითქმის ყველა თემა იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა იმსჯელონ და საკითხთან დაკავშირებით მაგალითები რეალური ცხოვრებიდან მოიტანონ. გაკვეთილებზე ყოველთვის მაღალია ჩართულობის დონე.

ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის XI-კლასელებმა წელს არაერთ დავალებას გაართვეს თავი. დიდი ინტერესით იძიებდნენ დამატებით მასალებს და

აკვირდებოდნენ ეკონომიკურ მოვლენებს საქართველოსა თუ უცხოეთში. თემის „ფული და საფინანსო ინსტიტუტების“ შესწავლისას ჩატარდა ღია გაკვეთილი. მოსწავლეებმა იმსჯელეს ფულის არსზე, ფუნქციებზე და გაცვლის სხვა საშუალებებზე, ასევე მოუწოდეს კონკურსი ბავშვების მიერ შექმნილ ქართული ეროვნული ვალუტის – ლარის ახალ ალტერნატიულ ფორმებზე.

ამ საგნის სწავლებაში გამორჩეულია ეკონომიკური და ბიზნესსპორექტო სამუშაო – „მოსწავლეთა კომპანია“, რომელიც თეორიული ცნებებისა და კანონების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას იძლევა და ავითარებს დემოკრატიულ, საბაზრო ეკონომიკაში თავისუფალი მოქალაქის უნარ-ჩვევებს.

„მოსწავლეთა კომპანია“ ჯუნიორ ენტიპრენტ ჯორჯიას პროგრამაა, რომელიც ამავე სახელწოდების მსოფლიო პროგრამის ანალოგია. ამავე ორგანიზაციის სახელმძღვანელო გვაძლევს დეტალურ რეკომენდაციას პროექტზე. მოსწავლეებს კომპანიაში მუშაობა ძალიან მოსწონთ.



ზედა სიმონეთის საჯარო სკოლაში, მე-2 წელია, ამ პროექტზე ნარმატიბული გეგმავთ. შარშან წინილების მწარმოებელმა კომპანია TSJ-მ დიდ ნარმატიბებს მიაღწია და 15 საუკეთესო ჯგუფში მოხვდა.

წლები დიდი მონდომებით შეუდგნენ კომპანიის ჩამოყალიბების საქმეს. შექმნეს კომპანია, სახელწოდებით SPY, რომლის საქმიანობას შეადგენდა ბისერების აცმა, მაგიდის საფარის ქსოვა, დეკორატიული ნივთების (სუვენირების) კეთება და ფოტოსურათების გადაღება.

თავიდანვე ბიზნესგეგმაში განსაზღვრული იყო, რომ კომპანიის სახელწოდება SPY – „თვალის დევნება“, შესაბამისი ყოფილიყო საქმიანობასთან. ამას დაემატა მოსწავლეთა სურვილი, ფოტოხელოვნებით დაკავებულიყვნენ. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდმა კარგად შეისწავლა ბაზარი, შეძლო მრავალფეროვანი პროდუქციის წარმოება და მოახდინა რეალიზაცია.

გაიარეს ბიზნეს-ტრენინგები ბისერების აცმასა და ქსოვაში. დაამზადეს 25 ერთეული სამკაული, გაყიდეს 40-მდე ფოტოსურათი როგორც ჩარჩოში ჩასმული, ასევე ალბომად შეკრული. ფოტომასალა ასახავდა სოფელ ზედა სიმონეთში არსებულ მწერალ დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმს, ჩიხნარის ტაძარს, სიმონეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ფასადს, სოფლის მიმდებარე ტერიტორიას.

წარმოებული პროდუქცია საჭირო, სასარგებლო, სასწავლო და ესთეტიკური სიამოვნების მომტანი იყო, ამიტომაც მყიდველი არ მოკლებოდა. კომპანიის მმართველი გუნდი შეთანხმებულად მოქმედებდა. მოეწყო გამოფენა-გაყიდვა. მოსწავლეები აწარმოებდნენ დოკუმენტაციას, ისწავლეს ჩეკების შევსება, საბუღალტრო ჩანაწერების კეთება, შეადგინეს მოგება-ზარალის ანგარიში. კომპანია SPY ნახა მოგება, რომელიც საკლასო ექსკურსი-

ისთვის მოიხმარეს ბავშვებმა.

10 ივნისს მოხდა კომპანიის ლიკვიდაცია, დაბრუნდა სააქციო კაპიტალი და გაიცა დივიდენდები.

მოსწავლეები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ იმაზე მეტი ისწავლეს, ვიდრე მოელოდნენ. მათ მიაჩნიათ, რომ სამოქალაქო ეკონომიკა ერთ-ერთი საუკეთესო საგანი და ნარმატიბული პროგრამაა. ყველაზე კარგი შემფასებლები ხომ თავად მოსწავლეები არიან.

მინდა გავისხენო სალიკვიდაციო სხდომის დროს გამართულ სლაიდ შოუდან ერთ-ერთი ფრაზა: „ბიზნესი გამოგონილია იმისთვის რომ გაიზარდოს ბედნიერი ადამიანების რიცხვი და არა მილიონობით დოლარის რაოდენობა“ (ბ. ჩარლზი).

მიმაჩნია, რომ SPY ნარმატიბული პროექტი იყო.

ირინა აბულაძე

ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის ეკონომიკის მასწავლებელი



ინტეგრირებული ბაკვეთილი მონასტერში



საქართველოს ციხე-სიმაგრეებს, მის მდიდარ კულტურულ და სულიერ ცხოვრებას ხშირად ეძღვნება გაკვეთილები ჩოხატაურის რაიონის სოფელ გოგოლესუბნის საჯარო სკოლაში.

ერთ-ერთი ასეთი ინტეგრირებული გაკვეთილი ჩაატარეს მასწავლებლებმა – **ნინო ბერძენიშვილმა** და **ფერმ სინარულიძემ** (მშობლიური ლიტერატურა და ისტორია V კლასში) – „გურიის უდაბნოს სავანეზე“.

გურიის უდაბნოს წმინდა იოანე ნათლისმცემლის მამათა მონასტერი ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა ამაღლების მთის ერთ-

ერთ ციხაბო კალთაზე მდებარეობს.

მოსწავლეებმა წარმოადგინეს ბიბლიური ისტორიის პრეზენტაცია მონასტრის შესახებ. მათ მასწავლებლისგან შეიტყვეს, რომ წმინდა იოანე ნათლისმცემლის უდაბნო მდიდარი მონასტერი იყო. მას ჰქონდა მდიდარი წიგნსაცავი, სადაც ძველი ქართული ხელნაწერები ინახებოდა. სწორედ აქ, 1920 წელს, აკაკი შანიძემ აღმოაჩინა და, ბერებისაგან აღებული თანხმობის შემდეგ, თბილისში ჩამოიტანა მრავალთავი, რომელიც ამჟამად ცნობილია უდაბნოს მრავალთავის სახელით, მიეკუთვნება IX საუკუნეს.



უდაბნოს სავანე ქართული კულტურის კერა იყო. მონასტერში ინერებოდა სასულიერო ხასიათის ლიტერატურა, ითარგმნებოდა საღვთო წიგნები.

XX საუკუნის მიწურულს უდაბნოს მღვიმე ეკლესიაში ღვთისმსახურება აღდგა.

ბავშვებმა დაათვალიერეს კლდეში ნაკვეთი ეკლესია, რომელსაც გურიის ვარძიასაც უწოდებდნენ, ვარაუდობენ, რომ ტაძარი IX საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება. ეკლესიის შესასვლელის თავზე, ნახევრად წრიულ ორნამენტში, ჩასმულია ჯვარი, ტაძრიდან მთელი გურია და მდინარე სუფსა მოჩანს.

მოსწავლეებმა წაიკითხეს სახალხო მგონის, **ონოფრე ყაჭიშვილის** ლექსები.

ლაშქრობა-გაკვეთილი შთამბეჭდავი გამოვიდა. მეორე დღეს მოსწავლეებმა დაწერეს თემა – „ერთი საინტერესო დღე“.

გაკვეთილისა და პედაგოგების მიზანი იყო ბავშვების კულტურულ მემკვიდრეობასთან ზიარება, ჭეშმარიტი მამულიშვილების აღზრდა.

ნონა სინარულიძე

ჩოხატაურის რაიონის საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში

პრეისტორიული ხანის უნიკალური აღმოჩენა



საქართველოში მსოფლიოში უძველესი – 34000 წლის – სელის ძაფის წარმოების ნაშთები აღმოაჩინეს. პალინოლოგიურმა კვლევამ **ელისო ყვავაძის** ხელმძღვანელობით უნიკალური მონაცემები დაადასტურა. ძეგლის უძრავი და კარგად დათარიღებული ფენებიდან აღებულ ნიმუშებში ადრეული ზედაპალეოლითური (34000წლის) გრებილი ველური სელის ძაფის ბოჭკოები აღმოჩნდა.

11 სექტემბერს, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ სამეცნიერო ჟურნალში **SCIENCE** (ტომი 325) ძუძუნას მღვიმეში ჩატარებული კვლევების შესახებ სამეცნიერო სტატია დაიბეჭდა.

დღემდე ითვლებოდა, რომ ყველაზე ძველი ძაფი, ოღონდ ჭინჭრისგან დამზადებული, აღმოჩენილი იყო დოლნივესტონიკაში, ჩეხეთში (ძვ.წ. 29000წ.). ძუძუნას მღვიმის პალინოლოგიური აღმოჩენის შედეგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პრეისტორიული ხანის უძველესი სელის ძაფი. უნიკალურ აღმოჩენას დიდი გამოხმაურება მოჰყვა სამეცნიერო წრეებში.

ძუძუნას მღვიმე ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. მღვიმევის ტერიტორიაზე მდებარეობს. ძველი აღმოაჩინა 1966 წელს, ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის ქვის ხანის შემსწავლელმა ექსპედიციამ **დავით თუშაბრაძის** ხელმძღვანელობით. 1996 წლიდან დღემდე ძუძუნას მღვიმეში მუშაობა მიმდინარეობს საერთაშორისო პროექტზე **თ. მემველიანის, ო. ბარიოსეისა და ა. ბელფერკინის** ხელმძღვანელობით.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ჰარვარდისა და იერუსალიმის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის მიზანია, დადგინდეს სამხრეთ კავკასიაში თანამედროვე ადამიანის **Homo Sapiens**-ის განსახლების გზები, მიგრაციის მიმართულებები და საქართველოს ზედაპალეოლითის ქრონოლოგია.

ძუძუნას მღვიმეში აღმოჩენილია ქვის იარაღები, ხელოვნების ნიმუშები და ცხოველური ნაშთები დათარიღებული 34 000 წლიდან 11 000 წლებით.

სპორტი


ევროპის ახალი ჩემპიონი

გორელმა ძიუდოისტმა **პაატა მერებაშვილმა** დიდი წარმატებით იჭიდავა ერევანში ჩატარებულ ახალგაზრდა მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე და 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო. მაგრამ ჩემპიონობასაც გააჩნია და მის წარმატებას დამატებით ხიბლს ის გარემოება სძენს, რომ ყველა შეხვედრა წმინდა გდებით მოიგო. თანაც, უმეტეს შეხვედრებში, საამისოდ 1 წუთიც არ დასჭირვებია. ასეთი მაჩვენებლებით მოგებულ ტურნირში ცოტა ძნელია გაარკვიო, რომელი შეხვედრა იყო უფრო რთული და სად გაუჭირდა ყველაზე მეტად, მაგრამ დასკვნითი ორთაბრძოლები შედარებით ძნელი რომ იქნებოდა, ისედაც ცხადი იყო. მით უფრო, მერებაშვილი ნახევარფინალში მასპინძელ **ტიგრან ვაროსიანს** ხვდებოდა, რომელსაც მაყურებლის გარდა მსაჯების იმედიც ექნებოდა. თუმცა ქართველმა იმდენად შთამბეჭდავი ილეთი გააკეთა, არბიტრებს იოტისოდენა მიზე-

ზიც არ მისცა – სომეხი კონტრპეტევაზე დაიჭირა და გარე სარმით ისე სუფთად მოცელა, პროტესტი თვით ვაროსიანსაც არ გამოუთქვამს. საყურადღებოა, რომ ეს ყველაფერი 22-ე წამზე მოხდა. ბევრად უკეთესი დღე არც ფრანგ **ფლორან ურანს** დაადგა ფინალში, ოღონდ მან ჩვენებურის შეტევებს 1.44 წამი გაუძლო.

პაატა მერებაშვილის კარიერაში ეს, ჯერჯერობით, ყველაზე დიდი მიღწევაა, თუმცა მეორე ევროპული მედალია – 2006 წელს, ისევე ახალგაზრდებში, ბრინჯაოს დაეუფლა. მას კიდევ ერთი საჩემპიონო ჯილდო მოეპოვება – 2005 წელს ევროპის ბავშვთა ოლიმპიური ფესტივალი მოიგო.

მერებაშვილის ოქროს გარდა, ერევანში, საქართველოს ნაკრებმა კიდევ ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა – **ნუგზარ ტატალაშვილმა** (73) და **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** (81). გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები მეხუთე ადგილზე გავიდა.



იტალიაში უჩემპიონოდ ღაპრით

ნინა კვირას, იტალიაში, დასრულდა ევროპის პირველობები ჭადრაკში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, სადაც ქართველებმა 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვეს. 16-წლამდე გოგონებში სამტრედიელი **მერი არაბიძე**, ხოლო 18-იანებში – თელაველი **ქეთი წანალაშვილი** მეორეზე გავიდნენ. ბრინჯაო 18-წლამდე ვაჟებში ქუთაისელმა **დავით ბენიძემ** ირგუნა.

საწყენია, რომ წლეულს ასაკობრივ ევროპულ ჩემპიონატებში ოქროს გარეშე დავრჩით. არადა, ჩვენს გოგონებს ამის შანსი ჰქონდათ – ბოლო ტურს ორივე ერთპიროვნულ ლიდერად შეხვედა, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრები ვერ მოიგეს. წანალაშვილს ამის მერეც ჰქონდა პირველობის შანსი, მაგრამ აქ უკვე საქმეში კოეფიციენტი ჩაერია, რომელმაც გამარჯვება რუს **ოლგა გირიას** არგუნა. არადა, წანალაშვილმა გირიას პირადი პარტია ახლაც მოუგო და შარშანაც აჯობა, როცა ანტალიაში 16-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა – რუსი იქ მეორე იყო.

სამაგიეროდ, ბოლო ტურში ბრინჯაო ბენიძემ გაინაღდა. საამისოდ მას ურთულესი მარათონული ბრძოლის მოგება მოუხდა – ესპანელ **ალვარ ალონსოსთან** პარტია ხუთი საათი გაგრძელდა.

წარუმატებელი ნახევარფინალი

ქართველ ჩოგბურთელ **მანანა შაფაქიძეს** იტალიის ქალაქ კასალეში დასრულებული ტურნირის წყვილთა გათამაშებაში ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა. შაფაქიძე რუს **ანასტასია მუხამეტოვასთან** გახლდათ შეამხანაგებულნი და 10-ათასიანი ტურნირის პირველ რაუნდში სამხრეთ-აფრიკელი სიმონდისისა და შვეიცარიელი ტომიჩის წყვილი 6:4, 6:1 დამარცხა, შემდეგ კი მეოთხე ნომრად განთესილ უზბეკურ-ჰოლანდიურ (ბარონოვა-ჰოგენდრონი) წყვილს 3:6, 6:3, 11:9 სძლია. ნახევარფინალში ქართულ-რუსულმა დუეტმა იტალიელებს – ბერტოიასა და გრიმალსკას 6:3, 6:2 მოუგო, ხოლო გადამწყვეტ შეხვედრაში პირველი რეიტინგის მქონე მასპინძელთა კიდევ ერთ წყვილთან (კონფალიონიერი-დავატო) 6:3, 3:6, 4:10 დამარცხდა. მანანა შაფაქიძეს მიმდინარე სეზონში – 2, სულ 5 ტიტული აქვს მოგებული.



რუბრიკას უძღვება ირაკლი თაყაიძე

ახალი განათლება
 მისამართი: ტაბატაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027. რედაქციის რეკვიზიტები: www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru საპარტოველო ბანკი: **საქართველოს ბანკი** ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაცია ხელმოწერისთვის: 76096
 გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
 რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უპრეტენდობა.